

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

ნანა ზაქარიაშვილი



საქვეყნო პროცესისა და მასმედიის ზეგავლენა ბრალდებულის
უფლებების განხორციელებაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი გიორგი თუმანიშვილი
ნაშრომი წარდგენილია სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 2019

სარჩევი

შესავალი	4
თავი I. საქვეყნო პროცესი და მასმედიის როლი.....	7
1.1 საქვეყნო პროცესის არსი	7
1.2 საქვეყნო პროცესის უფლების შეზღუდვა	9
1.3 მასმედიის როლი სისხლის სამართლის პროცესში	12
1.4 მედიასაშუალებებით საქმის გაშუქების ფარგლები.....	14
თავი 2. პროცესის საქვეყნობა და ბრალდებულის საპროცესო გარანტიები	17
2.1. გამოხატვის თავისუფლების არსი და მნიშვნელობა	17
2.2 უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში ...	20
2.3 ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და უდანაშაულობის პრეზუმფციას შორის.....	22
2.4 ბრალდებულის საჯარო ინკვიზიცია - უკან წარსულში	26
2.5 მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა საქვეყნო პროცესის ფარგლებში	28
2.6 გავლენა სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე.....	34
2.7 არასრულწლოვანი ბრალდებულის საპროცესო გარანტიები.....	42
2.8 მტკიცებულებათა სანდოობა საქვეყნო პროცესის ფარგლებში	44
თავი III ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილება ბრალდებულის უფლებებთან მიმართებით	47
3.1 ბრალდებულის საპროცესო უფლებების დარღვევის ფაქტები საქართველოში	47
3.2 ბრალდებულის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები საზღვარგარეთ	49
3.3 რეკომენდაციები	53
დასკვნა.....	56
ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა.....	58

აბრევიატურების ნუსხა

ა.შ. _ ასე შემდეგ;

აშშ _ ამერიკის შეერთებული შტატები;

გვ. _ გვერდი

ე.ი. _ ესე იგი;

ე.წ. _ ეგრეთ წოდებული;

თბ. _ თბილისი;

იხ. _ იხილეთ;

მუხ. _ მუხლი;

სსსკ _ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

სხვ. _ სხვა

შესავალი

სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელია სამართალწარმოების პროცესში ბრალდებულის უფლებების დაცვა, რომლებიც გარანტირებულია საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტებით. საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას ადამიანის, მით უფრო ბრალდებულის, უფლებების დაცვის კუთხით. ყოველდღიურად იზრდება სახელმწიფოს ჩართულობა აღიშნული უფლებების დასაცავად, მსგავსად სამართლებრივად განვითარებული ქვეყნებისა, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი ღირებულებაა და მათი დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

21-ე საუკუნის ტექნოლოგიების ხანაში ბრალდებულის უფლებების ეფექტიანი დაცვა უფრო და უფრო რთულდება, გამომდინარე ინფორმაციის უსწრაფესი გავრცელებიდან. მედიასაშუალებების ჩართულობა სისხლის სამართლის საქმეში ჯერ კიდევ წინა საუკუნეში იყო აქტუალური, თუმცა დღესდღეისობით მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის ადრესატი არა ასეულობით, არამედ მილიონობით ადამიანია, რაც თავის მხრივ, ზრდის ბრალდებულის ისეთი უფლებების დარღვევის რისკს, როგორებიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, არასრულწლოვანთა ანონიმურობის დაცვის ვალდებულება, სამართლიანი მართლმსაჯულების უფლება, უფლება მისი საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ და სხვ.

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია საქვეყნო პროცესის პრინციპისა და მედიასაშუალებების ზეგავლენა ბრალდებულის უფლებების განხორციელებაზე სისხლის სამართლის პროცესში. საქართველოში, ბოლო წლებში, აქტიურად შეინიშნება, საქვეყნო პროცესისა და მედიასაშუალებების გადამეტებული ჩართულობის ფონზე, ბრალდებულის არაერთი უფლების დარღვევა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომი მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას ეხება, რომელიც უდავოდ აქტუალურია საქართველოში.

ნაშრომის სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენს ბრალდებულის ის უფლებები, რომლებიც შესაძლოა ყოველდღიურად დაირღვეს პროცესის საჯაროობიდან გამომდინარე, მედიასაშუალებების ზიანის მომტანი გაშუქებისგან. ამ უფლებების არსი და მნიშვნელობა, ძირითადი ასპექტები. მედიასაშუალებების მიერ სისხლის სამართლის საქმეებში ჩართულობის და მისი გაშუქების შეფასება ზნეობრივი და სამართლებრივი კუთხით.

ნაშრომის მიზანია ფართოდ იქნეს განხილული ბრალდებულის უფლებები, რომლებიც საქვეყნო პროცესისა და მედიასაშუალებების გადამეტებული ჩართულობის შედეგად შესაძლოა ირღვეოდეს, დაგვანახოს ის რეალური, პრაქტიკაში არსებული პრობლემები, რომლებიც ასე მომრავლდა ქართულ რეალობაში. რამდენად მართლზომიერია მოლოდინი და მოთხოვნა იმისა, რომ თუნდაც გარკვეულ ფარგლებში და გარკვეული პირობების დაცვით, მოხდეს როგორც პროცესის საჯაროობის, ასევე ბრალდებულის სხვა უფლებების კუმულაციურად დაცვა. საკითხის მიმართ არსებული სხვადასხვა მოსაზრებებისა და პრობლემური საკითხების გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

მოცემული ნაშრომი არის მცდელობა, სამეცნიერო დონეზე ერთმანეთთან კავშირში განხილულიყო საქვეყნო პროცესის პრინციპი და მის ფარგლებში ბრალდებულის უფლებების დაცვის პრობლემები. ნაშრომში დასმული და პასუხგაცემულია კითხვა - რა ზიანის მოტანა შეუძლია მედიასაშუალებების გადამეტებულ ჩართულობას ბრალდებულისთვის. კვლევის საგანი დეტალურად არის განხილული ეთიკისა და სამართლის ჭრილში. წარმოდგენილია ურთიერთსაპირისპირო შეფასებები და მათი განხილვის საფუძველზე მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები.

ნაშრომი ურთიერთკავშირში განიხილავს პროცესის საჯაროობას, საზოგადოების ინტერესის საკითხს, ჩართული იყოს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ამავდროულად ბრალდებულის უფლებების დაცვის მნიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესში, მათი განხორციელების ზნეობრივ და სამართლებრივ პრობლემებს და უფლებათა შეზღუდვის გამართლების ხერხებს. ნაშრომში შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი გამოცდილება ბრალდებულის უფლებების დაცვასთან მიმართებაში და ინფორმაციულ დონეზე წარმოდგენილია პრობლემის ზოგადი სურათი, განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული კონვენციები და სამართლებრივი აქტები, თითოეულ საკითხთან დაკავშირებით განხილულია მაგალითები, არსებული სასამართლო პრაქტიკა, რომლის საქართველოს კანონმდებლობასთან და სასამართლო პრაქტიკასთან შედარებით, წარმოჩენილია საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მასში შემუშავებული დებულებები, დასკვნები და რეკომენდაციები არსებით წვლილს

შეიტანს, საქვეყნო პროცესის ფარგლებში, ბრალდებულის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტაში. კვლევის თეორიულ საფუძველსა და ინფორმაციულ ბაზას შეადგენს ქართველ და უცხოელ ავტორთა ფუნდამენტური კვლევები, სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები და ინტერნეტ საიტებზე არსებული ინფორმაცია.

ნაშრომი აგებულია ზოგადსამეცნიერო მეთოდოლოგიაზე, რომელიც უზრუნველყოფს ნაშრომის სტრუქტურულ ორგანიზაციას და ხელს უწყობს მისი ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. კვლევისას გამოყენებულია ლოგიკური, დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი, სისტემურ-სტრუქტურული, ჰიპოთეზის წამოყენების, დამუშავებისა და შემოწმების მეთოდები. კვლევის საგანი განხილულია როგორც პრაქტიკული, ისე შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით. განხილულია პროცესის საჯაროობის და მედიის ჩართულობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და არგუმენტები, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. ნაშრომში განხილულია ბრალდებულის უფლებები, მისი არსი და მნიშვნელობა, სამართლებრივი პრობლემები როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების, ისე საქართველოს კანონმდებლობის, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი თვალსაზრისითაც.

ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, 15 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომის მოცულობა სულ შეადგენს 60 გვერდს, მათ შორის, გამოყენებული ლიტერატურის 3 გვერდიანი ნუსხა.

თავი I. საქვეყნო პროცესი და მასმედიის როლი

1.1 საქვეყნო პროცესის არსი

„დემოკრატიულ სახელმწიფოში დომინირებს საზოგადოების ინტერესი ინფორმირებულობაზე. შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება დაესწროს სასამართლოში საქმის საჯარო განხილვას. მართლმსაჯულების განხორციელების გამჭვირვალობა საზოგადოებას უნერგავს რწმენას, რომ სასამართლო ხელისუფლება ფუნქციონირებს მისი მოლოდინის შესაბამისად.“¹

სასამართლო სხდომის საჯაროობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლით². მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის პროცესში. საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე და აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 თავში წარმოდგენილია სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები. მათ შორის მე-10 მუხლით გათვალისწინებული სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა.

ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ყველას ანიჭებს მისი საქმის საქვეყნო განხილვის უფლებას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-10 მუხლით კი განსაზღვრულია შემდეგი - უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მე-11 მუხლის 1-ელ ნაწილში კვლავაც ხაზგასმულია საქვეყნო პროცესის მნიშვნელობა - ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი

¹ გ.თუმანიშვილი. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი, 2014. გვ. 83

² ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლები 10 და 11.1; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6.1; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 14.1

ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად საქვეყნო სასამართლო პროცესზე, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

გარდა ამისა, საჯარო პროცესის უფლება გარანტირებულია საერთაშორისო პაქტით „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომლის მე-14 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

„უფლება საჯარო სასამართლო განხილვაზე იცავს მხარეებს, მართლმსაჯულების ფარულად და თვითნებურად განხორციელებისგან, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების გამჭვირვალობას და სასამართლო სისტემის საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებას და მართლმსაჯულების მიმართ მოსახლეობის ნდობის განმტკიცებას.“³

„სამართლიანი სასამართლო პროცესის ცნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს საჯარო განხილვის მექანიზმის ხარისხის უზრუნველყოფა. საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ მართლმსაჯულება აღსრულებულია, ამიტომ სასამართლო პროცესი მთლიანად საჯარო უნდა იყოს.“⁴ „ძველი გამოთქმის მიხედვით, არ არის საკმარისი მხოლოდ მართლმსაჯულების აღსრულება, საჭიროა დავინახოთ, რომ ის აღსრულდა.“⁵

საჯარო სასამართლო განხილვის უფლება შედგება რამდენიმე ელემენტისგან, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ კონტროლს სამართალწარმოების პროცესზე. აღნიშნულს მიეკუთვნება, მაგალითად, სასამართლო სხდომის ჩაწერა და გაშუქება, საზოგადოების ინფორმირება მისი ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, სასამართლო განხილვის ჩატარება პროცესის საჯაროობის მიზნებისათვის შესაფერისი ზომის სხდომის დარბაზში⁶, საზოგადოების სასამართლო პროცესზე დასწრების შესაძლებლობის გონივრული და

³ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ.91

⁴ რ.კ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები (მეორე გამოცემა), თბილისი 2006, გვ.370

⁵ იქვე. გვ.364

⁶ ECHR, Riepan v Austria, 14/11/2000, §29, 31; Mikhail Marinich v Belarus CCPR/C/99/D/1502/2006 19/08/2010, §10.5; Felix Kulov v Kyrgystan, CCPR/C/99/D/1369/2005 (2010), §8.6.

თანაზომიერი შეზღუდვა და სხვა, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული უფლების ეფექტურ რეალიზაციას. სასამართლო პროცესისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია სხდომის ჩატარება დიდ დარბაზში, საჯაროობის პრინციპის დაკმაყოფილებისათვის, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, მაგალითად, სასამართლოს სხდომების პირდაპირ ეთერში ვიდეოგადაცემა სასამართლოს შენობის სხვადასხვა ადგილას დამონტაჟებულ ეკრანებზე⁷. სასამართლო პროცესი საქვეყნოობის პრინციპის მოთხოვნას აკმაყოფილებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებას საშუალება აქვს ადვილად მოიპოვოს ინფორმაცია მისი ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების და მასმედიის ინფორმირება პროცესის ჩატარების ადგილის შესახებ და მისი ხელმისაწვდომობა, მათ შორის, შესაბამისი დაწესებულების ტერიტორიაზე დაშვება^{8,9}.

1.2 საქვეყნო პროცესის უფლების შეზღუდვა

საქვეყნო პროცესის პრინციპი გულისხმობს პროცესის მონაწილეთა, საზოგადოების და მასმედიის წარმომადგენლების უფლებას, დაესწრონ სასამართლო განხილვას. პროცესზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს 14 წლის ასაკიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლება არ არის აბსოლუტური და კანონი ითვალისწინებს მისი შეზღუდვის გარკვეულ შემთხვევებს. ამ მხრივ კანონის მიდგომა ორი სახისაა, ერთი მხრივ კანონი იმპერატიულად ითხოვს გარკვეული სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას დახურულ სასამართლო პროცესზე, ხოლო რიგ შემთხვევებში კანონი აძლევს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით მთლიანად ან ნაწილობრივ დახუროს სხდომა.

სსსკ-ის 182-ე მუხლით მოწესრიგებულია სასამართლო სხდომის საჯაროობის საკითხი. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება ზეპირად და საჯაროდ,

⁷ OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, 09/12/2014 §.64.65.

⁸ ECHR, Riepan v Austria, 14/11/2000, §§28-31; ECHR, Hummatov v Azerbaijan, 29/11/2007, §140-152.

⁹ იხ. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ.91-92

თუმცა, ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო დახურულ სხდომაზე განიხილავს. გარდა ამისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 29-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება. აღნიშნულ შემთხვევებში კანონი იმპერატიულად მოითხოვს, რომ საქმე განხილული იყოს დახურულ სასამართლო სხდომაზე.

სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი, როდესაც საქმე ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, დაზარალებულთა და პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების, პატივის, ღირსების და სხვა ლეგიტიმური ინტერესების დაცვას, მოსამართლე იყენებს თავის დისკრეციულ უფლებამოსილებას და იგი საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე ნაწილობრივ ან სრულად ხურავს სხდომას. „პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაესწროს სასამართლო პროცესს დემოკრატიულ საზოგადოებაში არასრულწლოვანთა ინტერესების ან მხარეთა პირადი ცხოვრების დასაცავად, ანდა იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც საჯაროობა, სასამართლოს აზრით, ზიანს მიაყენებს მართლმსაჯულების ინტერესებს.“¹⁰

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, „სხდომის დახურვა უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც სხვაგვარად შეუძლებელია ზემოხსენებული ინტერესების დაცვა.“¹¹ გარდა ამისა, სხდომის დახურვა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ მოცულობითა და ვადით, რაც აუცილებელია თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული სიკეთის დასაცავად.“¹² ნებისმიერი სახის ჩარევა უფლებაში გათვალისწინებული უნდა იყოს „კანონით“. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ნებისმიერი აკრძალვა ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის უნდა იყოს წინასწარ განჭვრეტადი¹³.

აღნიშნული პრინციპის დარღვევად არ შეიძლება მივიჩნიოთ შემთხვევები, როდესაც სსსკ-ის 85-ე მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილების საფუძველზე

¹⁰ ე. ნიკოლი, გ. მილარი, ე. შარლანდი, ადამიანის უფლებები- გამოხატვის თავისუფლება, თბილისი 2002, გვ. 180

¹¹ ECHR, *Olujic v Croatia*, 05/05/2009, §71.

¹² ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 92

¹³ ECHR, *Sunday Times v United Kingdom*, 26/04/1979, §49

მოსამართლე სხდომაზე წესრიგის დაცვის აუცილებლობით ან დამსწრე საზოგადოების სიმრავლისა და სხდომის ჩასატარებელი დარბაზის სიმცირის გამო შეზღუდავს სხდომაზე დამსწრე პირთა წრეს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვის მიზნებისათვის სხდომის დახურვა სასამართლომ უნდა გამოიყენოს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ზემოაღნიშნული უფლების შეზღუდვამდე, სასამართლომ უნდა განიხილოს სსსკ-ით გათვალისწინებული გაფრთხილების, ჯარიმის, გაზრდილი ჯარიმებისა და ცალკეული პირების დაპატიმრებების გამოყენების ეფექტიანობა სხდომის დარბაზში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.¹⁴ სასამართლო სხდომის საჯაროობის უფლების შეზღუდვა, როდესაც ცალკეული წევრების დაჯარიმება ან გაძევება საკმარისია წესრიგის დასამყარებლად, არ აკმაყოფილებს თანაზომიერების მოთხოვნას, ვინაიდან ვრცელდება საზოგადოების იმ ნაწილზეც, რომელსაც არ დაურღვევია სასამართლო წესრიგი. სასამართლოს სხდომის დამსწრე საზოგადოების წევრების გაფრთხილება, ჯარიმები, ჯარიმების გაზრდა, გაძევება და დაპატიმრება უნდა განიხილებოდეს ამავე თანმიმდევრობით, სანამ მიიღება გადაწყვეტილება საჯარო სასამართლო პროცესზე უფლების შეზღუდვაზე^{15,16}

ასევე, სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-9 და მე-10 ნაწილების საფუძველზე სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია შეზღუდოს შეიარაღებული ან/და შეუფერებელ ფორმაში ან მდგომარეობაში მყოფი პირის სხდომაზე დასწრება. აღნიშნული ასევე არ წარმოადგენს სხდომის საჯაროობის პრინციპის დარღვევას.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ. აქედან გამომდინარე, მიუხედავად, საკითხი განხილულ იქნა ღია თუ დახურულ სხდომაზე. სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს საჯაროდ.

¹⁴ OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, 09/12/2014 §.64,65.

¹⁵ OSCE/ODIHR, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, 09/12/2014 §.88,62

¹⁶ იხ. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 94

1.3 მასმედიის როლი სისხლის სამართლის პროცესში

„საქმის საჯარო განხილვა გულისხმობს როგორც პროცესზე დასწრების ასევე პროცესის მიმდინარეობის აუდიო-ვიდეო, ფოტო, კინოგადაღების შესაძლებლობას.“¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება, სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა ხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით.

„სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეოჩაწერა. სასამართლომ მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს აუდიო-ვიდეოჩაწერის მხარეებისთვის ხელმისაწვდომობა. თუ სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე, მხარეები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ ხელწერილს აუდიო-ვიდეოჩაწერის გაუმჟღავნებლობაზე.“¹⁸

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13¹ მუხლის, მე-2 ნაწილის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩაწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისთვის მათი მოთხოვნისთანავე.

მედიას უზარმაზარი გავლენა აქვს ჩვენს საზოგადოებაზე. გაზეთები, რადიოები, ტელევიზიები და ინტერნეტ-მედია არა მხოლოდ ავრცელებს ინფორმაციას, არამედ განსაზღვრავს თუ რა თემებსა და სიუჟეტებზე ისაუბროს ხალხმა. უამრავი დანაშაული ექცევა მედიასაშუალების ყურადღების ცენტრში, რაც ერთგვარი გამოწვევაა როგორც პროკურორებისთვის, ასევე ბრალდებულისა და მისი ადვოკატებისათვის.

გახმაურებული საქმეები ექცევა საზოგადოების ინტერესის ქვეშ. ასეთ დროს, პროკურატურა ვალდებულია საზოგადოებას მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია,

¹⁷ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 91

¹⁸ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 13¹, ნაწილი 1-ელი

რომელიც ემსახურება საჯარო ინტერესის დაკმაყოფილებას.¹⁹ საზოგადოება დაინტერესებულია ქვეყანაში მიმდინარე სოციალური თუ პოლიტიკური საკითხებით და მას უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო უწყებებისგან ინფორმაცია, როდესაც მისი უსაფრთხოება და კეთილდღეობა ამას მოითხოვს. ამასთან, პროკურატურას ინფორმაციის გავრცელებას საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული კომუნიკაციის თავისუფლებებიც²⁰ ავალდებულებს.²¹ სწორედ მათი მეშვეობით შეუძლია საზოგადოებას სახელმწიფოზე კონტროლის განხორციელება.²² გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით, გამოძიება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ეფექტიანად, თუ მასზე *inter alia* ხორციელდება საზოგადოებრივი კონტროლი, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საზოგადოების ნდობის შენარჩუნება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც განსახილველი სისხლის სამართლის საქმის მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, საზოგადოების ინფორმირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გამჭვირვალობის დეფიციტი კი პირიქით, აძლიერებს საზოგადოების ეჭვებსა და უნდობლობას^{23, 24}

ქვეყანაში არაერთი მაგალითია²⁵ იმისა, რომ მედიასაშუალებებით გაშუქებული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და შეხედულებები ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია საზოგადოების რწმენის ჩამოყალიბების პროცესში. მაგალითისთვის, ელინ უორნოსის საქმეში, რომლის შესახებაც არაერთი დოკუმენტური ფილმი, ჩანაწერები თუ წიგნები არსებობს, მედიამ განსაკუთრებული როლი ითამაშა. თითქმის ყოველი ამერიკული წყარო მიუთითებს, რომ მედიასაშუალებებით ბრალდებული აღიარებული იყო

¹⁹ Matheson, Scott, Jr. M., The Prosecutor, The Press, and Free Speech, Fordham Law Review, Volume 58 Issue 5 Article 1, 1990, p. 879

(იხ.: <https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2878&context=flr>) (12/07/2019)

²⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებულია ადამიანის სიტყვისა და აზრის თავისუფლება, ხოლო 24-ე მუხლით ინფორმაციის თავისუფლება. მოცემულ თავისუფლებებს ერთად შეიძლება ეწოდოს კომუნიკაციის თავისუფლებები.

²¹ Reike, Anne, Die Rolle der Staatsanwaltschaft in der Mediengesellschaft, Verlag Dr. Kovač, 2012, S. 5-6.

²² Kettner, Peter, Der Informationsvorsprung der Staatsanwaltschaft im Ermittlungsverfahren, Verlag Tenea, Band 7, 2002, S. 163

²³ ECHR, McKerr v. the United Kingdom, 04/05/2001.

²⁴ ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმაცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018. გვ.162-163

²⁵ გახმაურებული საქმეები: მალხაზ კობაურის, მაგდა პაპიძის, მამა გიორგი მამალაძისა და სხვანი.

როგორც პირველი სერიული მკვლეელი ქალი აშშ-ში. ეს ყოველივე კი სასამართლო განაჩენის გამოტანამდე. პროკურორები მედიასაშუალებებით უსვამდნენ ხაზს ამ ფაქტს და ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, თუ რამდენად საშიში იყო ბრალდებული საზოგადოებისათვის. მედიასაშუალებების მიერ ბრალდებულისთვის „კაცთმოძულე მკვლელის“ სტატუსის მინიჭებამ და მისი დამნაშავეობის დასამტკიცებლად არაერთი სიუჟეტისა და შოუს გაშუქებამ გამოიღო თავისი საზიანო შედეგი და საზოგადოებრივი აზრი ბრალდებულის წინააღმდეგ ჩამოაყალიბა.

ასეთივე უარყოფითი გავლენის მქონე აღმოჩნდა მედიასაშუალებების გადამეტებული ჩართულობა ბრალდებულ მარიამ შალამბერიძის საქმეში. აღნიშნული საქმე ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზეა, თუმცა მედიასაშუალებების გადაჭარბებული ჩართულობიდან გამომდინარე ბრალდებული საზოგადოების უდიდესი ნაწილის თვალში უკვე დამნაშავეა, მაშინ როდესაც მისი დამნაშავეობის დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება ოფიციალური სახით არ გამოქვეყნებულა. საზოგადოებაში არსებული შეხედულებებიდან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში, პრაქტიკულად აზრს კარგავს ბრალდებულის უფლება მისი საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რადგან თითქმის შეუძლებელია საქართველოში მოიძებნოს ნაფიც მსაჯულობის კანდიდატი, რომელსაც არ ექნება წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი მისი დამნაშავეობის შესახებ, რაც თავისთავად ეჭვს აჩენს მსაჯულის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის კუთხით.

1.4 მედიასაშუალებებით საქმის გაშუქების ფარგლები

ევროკონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, პრესას განსაკუთრებული სტატუსი გააჩნია. რამდენიმე საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ პრესას არა მარტო აქვს ნება, არამედ ევალება კიდევ, საზოგადოებას მისთვის საინტერესო თემებზე მიაწოდოს ინფორმაცია, რაც თავისთავად გულისხმობს ფაქტების ინტერპრეტირების უფლებასაც²⁶. „პრესის როგორც „საზოგადოებრივი დარაჯის“

²⁶ ECHR, *Sunday Times v United Kingdom*, no 6538/74, 26/04/1979, §65 ; ECHR, *Lingens v Austria*, no 9815/82, 8/07/1986, §41.

როლი მნიშვნელოვანია... დემოკრატიული საზოგადოებისათვის²⁷. მართლაც, ჟურნალისტური თავისუფლება გულისხმობს ინფორმაციის გაზვიადების გარკვეულ ხარისხს ან თუნდაც პროვოკაციასაც^{28,29} თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე უნდა მოხდეს იმ ფარგლებში, რომელიც არ დაარღვევს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სასამართლო სხდომის დარბაზში ფოტოგადაღება, კინო, ვიდეოჩაწერა უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სასამართლო სხდომის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩაწერა უნდა განხორციელდეს ნაფიცი მსაჯულების გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.³⁰

გარდა ამისა, თუ დაზარალებულის ან/და მოწმის უსაფრთხოების ინტერესები ამას მოითხოვს, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია აკრძალოს დაზარალებულის ან/და მოწმის გადაღება, მისი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელა.³¹ სასამართლოს ეზოსა და შენობის დერეფანში კი ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩაწერა და ეთერში გადაცემა ნებადართულია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.³²

რაც შეეხება, თავად სამართლებრივი თემატიკის გაშუქების სტანდარტს და ვალდებულებას, ისინი გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს.

გარდა ამისა, საქართველოს ჟურნალისტური მედიის ქარტია³³ ადგენს სამართლებრივი საკითხების გაშუქების სტანდარტებს, აღნიშნული სტანდარტების დაცვა კი სავალდებულოა ხელმომწერი მედიასაშუალებების წარმომადგენლებისათვის. ქარტიის მიხედვით, როდესაც საქმის გარემოებები რთულია, საჯარო ინტერესი კი მაღალი, ამბის მეორეხარისხოვანი დეტალების გაშუქება ქმნის რეალურ საფრთხეს შეიქმნას ბრალდებულების და მათი ახლობლების "დევნის" პრეცედენტი, რისი თავიდან აცილებაც შეიძლება

²⁷ ECHR, De haes and Gijssels v Belgium, 24/02/1997, §37

²⁸ ECHR, De haes and Gijssels v Belgium, 24/02/1997, §46 ; ECHR, Dalban v Romania, 29/09/1999, §46,

²⁹ ე. ნიკოლი, გ. მილარი, ე. შარლანდი, ადამიანის უფლებები- გამოხატვის თავისუფლება, თბილისი, 2002, გვ. 157

³⁰ საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 13¹ ნაწილი მე-4

³¹ იქვე. ნაწილი მე-6

³² იქვე. ნაწილი მე-7

³³ შემდგომში ქარტია.

მხოლოდ ძირითადი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, გადამოწმებული ფაქტების გაშუქებით, რაც ამცირებს სპეკულაციებისა და საზოგადოებაში მცდარი შეხედულებების შექმნის საშიშროებას. მათ მიერ მიღებული სახელმძღვანელო წესების მიხედვით, მედიასაშუალებებმა უბედური შემთხვევების, ტრაგედიების, ძალადობის გაშუქებისას უნდა დაიცვან ბალანსი საზოგადოებრივ ინტერესსა და ეთიკურ გაშუქებას შორის. მედია თანამგრძობი უნდა იყოს ამგვარი მოვლენების მონაწილე პირების მიმართ და თავი უნდა აარიდოს პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შელახვას.³⁴

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ მიღებული სტანდარტების თანახმად, დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მედიამ არ უნდა მოახდინოს სავარაუდო დამნაშავის, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის იდენტიფიცირება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი სახელი საზოგადოებისთვის ცნობილია ან საქმე საზოგადოებრივი ინტერესის მქონეა. ჟურნალისტური ეთიკის დარღვევად მიიჩნევა კრიმინალურ ისტორიებში მონაწილე, დაზარალებული, ბრალდებული და მსჯავრდებული ან/და თვითმხილველი არასრულწლოვნების იდენტიფიცირება.

დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა, დაზარალებულთა და მათი ოჯახის წევრების კანონიერი ინტერესების დაცვა³⁵, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი შემდგომი სტიგმატიზაცია.

თუმცა, მიუხედავად საკანონმდებლო თუ ეთიკურ დონეზე არსებული რეგულირებისა, არსებობს მაგალითები, როდესაც მასმედიის წარმომადგენლები არაკეთილსინდისიერად ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, გაშუქებისას დაიცვან კანონის მოთხოვნები. კერძოდ, მასმედიის წარმომადგენლების მხრიდან მომხდარა არასრულწლოვანთა საქმეზე ბრალდებულების ე.წ. „ბლარის“ გარეშე გაშუქება, რაც მათი იდენტიფიცირების საშუალებას იძლეოდა.³⁶

³⁴ ვრცლად იხ. <https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/29293-kriminalis-gashuqeba-8211-saxelmdzgvanelo-wesebi> (12.07.2019)

³⁵ იქვე.

³⁶ აღნიშნული მოხდა ე.წ. ხორავას ქუჩის საქმეში ბრალდებული არასრულწლოვნის შემთხვევაში, როდესაც 2017 წლის 4 დეკემბერს, ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ პირდაპირ ეთერში გაშუქდა ბრალდებული, ვიზუალის ყოველგვარი დაფარვის გარეშე. (ამჟამად, აღნიშნული კადრები ამოღებულია ინტერნეტსივრიდან)

თავი 2. პროცესის საქვეყნოობა და ბრალდებულის საპროცესო გარანტიები

2.1. გამოხატვის თავისუფლების არსი და მნიშვნელობა

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებას დათმობილი აქვს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლი და მისი აღიარება და დაცვა აუცილებელია დემოკრატიული პროცესისა და თითოეული ადამიანის განვითარებისათვის. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად.

აღნიშნული უფლება კონსტიტუციურადაა დაცული მთელ მსოფლიოში და მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ყველა სხვა უფლებასთან. იგი ძირითადი უნივერსალური ღირებულებაა, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს და განსაზღვრავს პიროვნების ღირსებას³⁷. სიტყვისა და აზრის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველია, დემოკრატიული საზოგადოების პროგრესისა და ცალკეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა³⁸. „მისი მნიშვნელობა აღიარებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, როდესაც მიიჩნიეს, რომ გამოხატვის თავისუფლება „ქვაკუთხედი ყველა იმ უფლებისა, რომელთა დაცვაც გაეროს პრიორიტეტს წარმოადგენს.“³⁹ იმ სახელმწიფოებში, სადაც გამოხატვის თავისუფლება დათრგუნულია, როგორც წესი ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა ხშირი დარღვევის ფაქტებს და პირიქით, იქ სადაც ეფექტურად რეალიზდება გამოხატვის თავისუფლება, მეტია შესაძლებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის და შემცირებისა.⁴⁰

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. იგი სხვადასხვა კომპონენტს შეიცავს, კერძოდ: აზრის, იდეის, სიტყვის, მედიის,

³⁷ უფრო ვრცლად იხ. მ. ტობი, გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2004

³⁸ უფრო ვრცლად იხ. ი. მანჯავიძე, ლ. ლაბაური, მ. კვაჭაძე. ადამიანის უფლებათა დაცვა ჯანდაცვის სფეროში და სიტყვის თავისუფლება - თბილისი, 2006

³⁹ UNGA, 1948

⁴⁰ უფრო ვრცლად იხ. მ. ტობი, გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი, 2004

ინფორმაციის შეგროვების, მიღებისა და გავრცელების თავისუფლებები, ჟურნალისტების დაცულობა და დამოუკიდებლობა, ისევე როგორც გამოხატვის ფორმის არჩევის თავისუფლება.⁴¹

საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებაში ასევე მოიაზრება ინფორმაციის უფლება. ინფორმაციის უფლება მოიცავს ინფორმაციის მიღების, გავრცელების, შეგროვების უფლებებს. ხელისუფლებას არა აქვს უფლება, კანონით გათვალისწინებული აუცილებლობისა და თანაზომიერების პრინციპის დაცვის გარეშე, შეზღუდოს ან ხელი შეუშალოს პიროვნებას იმ ინფორმაციის მიღებაში, რომლის გადაცემაც მისთვის უნდათ. ინფორმაციის მიღების უფლება ნიშნავს, კერძოდ, უფლებას თვალყური ადევნო ხელისუფლების საქმიანობას. ადამიანს აქვს უფლება იცოდეს როგორ მიიღება მისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ინფორმაციის მიღების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ისევე როგორც ადამიანის უფლებათა სხვა შეზღუდვები, აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაც კანონმდებლობით უნდა იყოს განსაზღვრული.⁴²

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის თანახმად, თითოეულ ადამიანს აქვს საკუთარი აზრის შეუფერხებლად გამოხატვის უფლება. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით ან პრესის და გამოხატვის მხატვრული საშუალებებით ან საკუთარი არჩევანით სხვა საშუალებებით.

ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობასა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. ამიტომ, იგი შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია:

- სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად;
- სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობას, სიტყვის თავისუფლების დაცვის ვალდებულება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლშია ჩამოყალიბებული,

⁴¹ საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, იხ. <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=280>

⁴² იქვე.

იმავე კონსტიტუციაში ნათლადაა მითითებული, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ხოლო ცენზურა – დაუშვებელი. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული - ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს:

- ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;
- ბ) პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას;
- გ) ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;
- დ) ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტიკის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, გამოხატვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველი. გამოხატვის თავისუფლება არის საზოგადოების განვითარებისა და პიროვნების თვითრეალიზაციის მთავარი პირობა. ამიტომ დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ იშვიათად შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი. ⁴³ ამავე გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ ასეთი აუცილებლობის ფარგლები კიდევ უფრო მცირდება, როდესაც საქმე ეხება პრესის თავისუფლებას, ვინაიდან პრესის თავისუფლებას ძალიან მაღალი ღირებულება აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში და მის შეზღუდვას განსაკუთრებული გამართლება სჭირდება. უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ ასეთია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და ამ პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს შეესაბამება ასევე საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.⁴⁴

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №ას-1278-1298-2011, თბილისი, 2012 წლის 20 თებერვალი.

(იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba7.pdf>) (12.07.2019)

⁴⁴ იქვე.

აქედან გამომდინარე, მედიასაშუალებებს აქვთ კანონით გარანტირებული უფლება შექმნან, მოიპოვონ და გავრცელონ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნულში ასევე მოიაზრება სასამართლო სხდომის მიმდინარეობის ვიდეოგადაღება და გაშუქება, ასევე მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის გავრცელება. თუმცა, ქართულ რეალობაში ხშირად ვხვდებით სამართლებრივი საკითხების დამახინჯებულად გაშუქების ფაქტებს, რაც მდგომარეობს ჟურნალისტთა მხრიდან სამართლებრივი განათლების არქონასა და აქედან გამომდინარე სამართლებრივი ტერმინოლოგიის არასწორ გამოყენებაში. ხშირია შემთხვევები, როდესაც დაკავებული პირი მედია სივრცეში მოხსენიებულია, როგორც დამნაშავე. ასეთ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების სახელით ხდება არანაკლებ მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური პრინციპის - უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა. აღნიშნულის ნათელი მაგალითია დედა-შვილი ოჩხიკიძეების დაკავების ფაქტი თურქეთში.⁴⁵

2.2 უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში

უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითად პრინციპს, რომლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული არ ჩაითვლება დამნაშავედ მანამ, სანამ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო არ დაადგენს ამას. უდანაშაულობის პრეზუმფცია ერთ-ერთი უძველესია სისხლის სამართალში დემოკრატიული საწყისების შეტანის პროცესში. დღეს იგი დაფიქსირებულია მრავალ საერთაშორისო სამართლებრივ და ყველა ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ აქტში. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ⁴⁶ და ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ⁴⁷ ერთნაირად აცხადებენ, რომ თითოეული პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მიიჩნევა უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა არ

⁴⁵ სტამბულში 11 წლის არასრულწლოვანის მკვლელობაში ბრალდებული ვიოლა და ეკატერინე ოჩხიკიძეები დაკავების დღესვე მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მკვლელებად იქნა მოხსენიებული სამი რეიტინგული არხის მიერ.

⁴⁶ მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი

⁴⁷ მე-6 მუხლი

დამტკიცდება კანონის შესაბამისად. დანაშაულის ჩადენის დამტკიცება მთლიანად ევალება ბრალდების მხარეს.

უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, უდანაშაულოდ ითვლებოდეს მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დადგენილი არ იქნება კანონის შესაბამისად საჯარო სასამართლოს მიერ, რომელზედაც ის უზრუნველყოფილი იქნება დაცვის ყველა საჭირო საშუალებით.⁴⁸ სმიტი რონა კ. საკუთარ ნაშრომში : ადამიანის საერთაშორისო უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმფციას მოიხსენიებს სამართლიანი სასამართლო პროცესის უმნიშვნელოვანეს პრინციპად და დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ქვაკუთხედად.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. იმავე აზრს იზიარებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

უნდა აღინიშნოს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის განსაკუთრებული ბუნება იმაში ვლინდება, რომ იგი ერთდროულად წარმოადგენს როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს გარანტს, ისე ბრალდებულის უფლებას.⁴⁹ იგი როგორც უფლება გამომდინარეობს ღირსების უფლებიდან და აღნიშნული აბსოლუტურად დაცული უფლების კონკრეტიზაციად მიიჩნევა.⁵⁰ სისხლის სამართლის პროცესში იგი წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომლის დარღვევის შემთხვევაში, პროცესის შემდგომი ეტაპების კანონით დადგენილი წესით წარმართვას აზრი ეკარგება.⁵¹ ამასთან, უდანაშაულობის პრეზუმფცია ემსახურება საზოგადოების მშვიდობიან

⁴⁸ UDHR, მუხლი 11.1; იხ. აგრეთვე, ICCPR, მუხლი 14.2; ECHR, მუხლი 6.2; ACHR, მუხლი 8.2; ACHPR, მუხლი 7.1(b); CIS – მუხლი 6.2 ; AL – მუხლი 66

⁴⁹ Meyer, Jürgen, Charte der Grundrechte der Europäischen Union, Verlag Nomos, 4. Auflage, 2014, Rn. 10, 6.

⁵⁰ Stukenberg, Carl Friedrich, Untersuchungen zur Unschuldsvermutung, Verlag Walter de Gruyter, 1998, S. 367.

⁵¹ ECHR: *Alenet de Ribemont v. France*, 10/02/1995, § 35; *Butkevicius v. Lithuania*, 26/03/2002, § 49; *Ismoilov and others v. Russia*, 24/04/2008, § 161.

თანაცხოვრებას და სწორედ ამიტომ მოითხოვს, რომ ბრალი დადგინდეს საყოველთაოდ აღიარებული სავალდებულო წესით^{52,53}

„უდანაშაულობის პრეზუმფცია ასევე გულისხმობს, საინფორმაციო საშუალებების მიერ გადაჭარბებული ან ზიანის მომტანი გაშუქებისგან სახელმწიფოს მიერ დაცვას.“⁵⁴

2.3 ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და უდანაშაულობის პრეზუმფციას შორის

რაც შეეხება, მედიასაშუალებებით სისხლის სამართლის საქმის გარშემო ინფორმაციის გაშუქებას, „დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მაუწყებელმა უნდა დაიცვას ბალანსი, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა, ხოლო მეორე მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის.“⁵⁵ თუმცა, სამართლებრივი საკითხების გაშუქებისას, არსებობს ჟურნალისტური ეთიკის დარღვევის ფაქტები. მაშინ, როდესაც პირის მიმართ ჯერ კიდევ მიმდინარეობს გამოძიება და მედიასაშუალებებით პირდაპირ გადაიცემა მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია მტკიცებით ფორმაში.⁵⁶

გარდა მედიასაშუალებების წარმომადგენლებისა, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა ხდება თავად პროკურორებისა და გამომძიებლების მხრიდანაც. „საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, პროკურატურის ან მისი მუშაკის საჯარო განცხადებიდან მომდინარე სამართლებრივი რისკებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა.“⁵⁷ საქართველოს პროკურატურა სასამართლოს

⁵² Stukenberg, Carl Friedrich, Untersuchungen zur Unschuldsvermutung, Verlag Walter de Gruyter, 1998, S.367, Rn.18c.

⁵³ ვრცლად იხ. ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018. გვ.164

⁵⁴ რ.კ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები (მეორე გამოცემა), თბილისი, 2006, გვ.362

⁵⁵ საქართველოს კანონი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, მუხლი 48

⁵⁶ მაგალითისთვის იხ. <https://www.ambebi.ge/article/234360-16-clis-dedam-7-tvis-shvili-sacolshi-gaguda-ras-ambobs-shss-agaianshi-momxdar-mkvlelobaze/> (13.07.2019)

⁵⁷ ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018. გვ.163

სხდომის გამართვამდე საზოგადოებას აწვდის ზოგად ინფორმაციას როგორც მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ, ასევე იგი ასაჯაროებს მოპოვებულ მტკიცებულებებსაც. ამასთან, პროკურატურა დანაშაულის შესახებ საკუთარ შეხედულებას გადმოსცემს მტკიცებით ტონში და იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა „გამოძიებით დადგინდა, რომ“⁵⁸ „აღნიშნული გარემოება დადგენილია ჩვენებით,“ „ხსენებული ჩანაწერის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ...წინასწარ ჰქონდა განზრახული მეუღლისა და შვილის მკვლელობა.“⁵⁹ აღსანიშნავია, რომ ამგვარი იმპერატიული განცხადებების შემდეგ პროკურატურა ვალდებულია მიუთითოს უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, ანუ საზოგადოებას ნათლად და გასაგებად აცნობოს, რომ მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ მათ ვარაუდს და რომ ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. აღნიშნულის გარეშე კი შეიძლება საზოგადოება შევიდეს შეცდომაში და ჩამოუყალიბდეს შეხედულება, რომ მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.⁶⁰

აღსანიშნავია, რომ სუბიექტთა წრე, რომლებსაც ევალებათ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა მოიცავს, არა მხოლოდ საგამოძიებო, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებსა⁶¹ და სასამართლოებს,⁶² რომლებსაც ევალებათ დამაჯერებელი და ერთმანეთთან თანხვედრი მტკიცებულებების წარმოდგენა, არამედ სხვა ნებისმიერ საჯარო პირსა თუ ორგანოს, განურჩევლად იმისა, მონაწილეობს თუ არა იგი სისხლის სამართლის პროცესში.⁶³ მათში იგულისხმება როგორც ადმინისტრაციული, ისე საკანონმდებლო ორგანოები და ის პირები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო

⁵⁸ საქართველოს პროკურატურის პრესრელიზები (იხ.: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=geo/news?info_id=1695 ; http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1137). (13.07.2019)

⁵⁹ საქართველოს პროკურატურის შუალედური ანგარიში მაგდა ჰაპიდის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, 19/02/2016 (იხ.: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=871). (13.07.2019)

⁶⁰ იხ. ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018. გვ.163

⁶¹ Beck-Online: Callies/Ruffert, EUV/AEUV und Europäischer Grundrechtscharta (Kommentar), EU-GR Charta Art. 48 Unschuldsvermutung und Verteidigungsrechte. 5. Auflage, 2016, Rn.4.

⁶² Beck-Online: Jarass, Hans D., Charta der Grundrechte der EU (Kommentar), EU-Grundrechte-Charta Art.48 Unschuldsvermutung und Verteidigungsrechte, 3. Auflage 2016, Rn.10; ECHR, Daktaras v. Lithuania, 10/10/2000, § 42.

⁶³ ECHR, Khuzhin and Others v. Russia, 23/10/2008

ფუნქციებს.⁶⁴ აღსანიშნავია, რომ აუცილებელი არ არის, რომ „საჯარო პირი“ განცხადების გაკეთების დროს იყოს სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებული, ცნება „საჯარო პირი“ მოიცავს იმ პირებსაც, რომლებსაც წარსულში ეკავათ სახელმწიფო ორგანოებში მაღალი თანამდებობები და საზოგადოებისათვის ცნობილი არიან.⁶⁵ შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ორგანოსა თუ პირისათვის უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობს ქცევის ზოგადი პრინციპები, რომლებმაც ასახვა უნდა ჰპოვონ ქცევის წესების სახით. ქცევის წესები კი, არ უნდა იყოს აბსტრაქტული, პირიქით, მათი განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თითოეული ორგანოს ფუნქციები და პროცესები.⁶⁶ აქედან გამომდინარე, პროკურატურაც, როგორც სახელმწიფო უწყება და სისხლის სამართლის პროცესში კი, სახელმწიფო ბრალმდებელი, ვალდებულია დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამასთან, აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ უშუალოდ სასამართლო სხდომებზე, არამედ სასამართლოს გარეთ, საზოგადოებასთან (მედიასთან) ურთიერთობისას.⁶⁷

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განმარტა უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი და მნიშვნელობა, საქმეში – გრიდინი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (*Gridin v Russian Federation*)⁶⁸. აღნიშნულში საქმე შეეხებოდა პირის გაუპატიურების, მკვლელობის მცდელობასა და სხვა ექვს დანაშაულში ბრალდებულ გრიდინს. გამოძიების პერიოდში რადიოსა და გაზეთებში ბრალდებული დახასიათებულ იქნა როგორც „ლიფტის შემკეთებელი მკვლელი.“ პოლიციის უფროსისა და გამომძიებლების მიერ იგი არაერთხელ იქნა „მკვლელად“ მოხსენიებული, სასამართლო სხდომებიც მიმდინარეობდა დარბაზში მყოფების მიერ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მოთხოვნით

⁶⁴ Beck-Online: Grabenwarter/Pabel, Europäische Menschenrechtskonvention, § 24. Verfahrens- und Justizgarantien, 6. Auflage 2016, Rn.142.

⁶⁵ ECHR, *Kouzmin c. Russie*, 18/03/2010, §§ 59-62, Council of Europe, Dovydas Vitkauskas Grigoriy Dikov, Protecting the right to a fair trial under the European Convention on Human Rights, 2012, p. 78 (იხ.: <https://rm.coe.int/16806f15fa>) (13.07.19)

⁶⁶ Esser, Robert, *Europäisches und Internationales Strafrecht*, 2. Auflage, C.H.Beck, S. 228, Rn. 276.

⁶⁷ ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, *ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი*, N4, თბილისი, 2018. გვ.165

⁶⁸ OSCE, ODIHR, *Legal Digest of International Fair Trial Rights*, 2012, p. 95-96

(იხ.: <https://www.osce.org/odihr/94214?download=true>) (13.07.2019);

UN Doc CCPR/C/69/D/770/1997 (2000) (იხ.: <https://lovdata.no/static/UNHR/ccpr-1997-0770.pdf>). (13.07.2019)

გაკეთებული განცხადებებისა და შემახილების ფონზე.⁶⁹ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ როდესაც მაღალი თანამდებობის მქონე პოლიციელი ტელევიზიით გაკეთებულ საჯარო განცხადებაში ბრალდებულს წარმოაჩენს დამნაშავედ, ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. სახელმწიფო ორგანოებს აკისრიათ ვალდებულება, თავი შეიკავონ სასამართლო შედეგის წინასწარ დადგენისაგან (it is therefore, a duty for all public authorities to refrain from prejudging the outcome of a trial).⁷⁰ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის დარღვევა დაადგინა საქმეში – მარინიჩი ბელორუსის წინააღმდეგ (Marinich v. Belarus), სადაც მომჩივანის დაკითხვა იწერებოდა ფარული კამერით და შემდეგ მოცემული ჩანაწერი გაშუქდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტელეარხზე, ბრალდებულის დამნაშავეობის შესახებ მიმართით მცდარი და დამამცირებელი კომენტარების თანხლებით⁷¹.⁷²

სამწუხაროდ, პრაქტიკაში არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც დაკავებული პირი მთელი ქვეყნის მასშტაბით მედიასივრცეში მოიხსენიება, როგორც დამნაშავე. აქედან გამომდინარე, პროკურატურის საინფორმაციო პოლიტიკა აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, საჯარო განცხადებები უნდა გაკეთდეს დიდი სიფრთხილით და თავშეკავებით. თუმცა, პროკურატურის პრესრელიზებში (განსაკუთრებით გახმაურებულ საქმეებში) გამოყენებული სიტყვები – „გამომიებით დადგენილია,“ „დადასტურებულია ჩვენებით,“ „ანალიზი ცხადყოფს,“ „აღნიშნული გარემოება დადგენილია“ და პროკურატურის მუშაკთა მიერ ნათქვამი სიტყვები – „მოკლა მეუღლე და გაგუდა მცირეწლოვანი შვილი,“ „განზრახ ჩაიდინა დანაშაული,“ „გაუფრთხილებლობას ადგილი არ ჰქონია“ – ვერ ჩაითვლება ფრთხილ და თავშეკავებულ განცხადებებად, ვინაიდან ისინი პირდაპირ მიუთითებენ პირის ბრალეულობაზე და არ ტოვებენ სივრცეს, რომ მიწოდებული ინფორმაცია საზოგადოებამ აღიქვას როგორც საგამომიებო ორგანოს ვარაუდი დანაშაულის ჩადენის შესახებ. გარდა ამისა, საქართველოს

⁶⁹ UN Doc CCPR/C/69/D/770/1997 (2000) § 3.5

(იხ.: <https://lovdata.no/static/UNHR/ccpr-1997-0770.pdf>) (13.07.2019)

⁷⁰ UN Doc CCPR/C/69/D/770/1997 (2000) § 8.3

(იხ.: <https://lovdata.no/static/UNHR/ccpr-1997-0770.pdf>) (13.07.2019)

⁷¹ OSCE, ODIHR, Legal Digest of International Fair Trial Rights, 2012, p. 96

(იხ.: <https://www.osce.org/odihr/94214?download=true>) (13.07.2019)

⁷² ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018. გვ.168

პროკურატურის მიერ გაკეთებული განცხადებები ემსგავსება იმ განცხადებებს, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უწოდებს „პირდაპირ განცხადებას“ (clear declaration), სადაც პირი პირდაპირ დახასიათებულია როგორც დამნაშავე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პროკურატურა ამგვარი საინფორმაციო პოლიტიკით უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს არღვევს.⁷³ ასეთ შემთხვევებში, როდესაც ირღვევა ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალისტს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევის გამო, პროკურორმა ან სამართალდამცავმა მიიღოს გაფრთხილება ან დაეკისროს სხვაგვარი პასუხისმგებლობა, თუმცა უფლებადარღვეული პირისთვის ეს ფაქტი უკვე მეორეხარისხოვანია, რადგანაც აღნიშნულ, არასწორად მინიჭებულ სტატუსს მიყვავართ მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემასთან, რომელსაც შემდეგ თავში განვიხილავთ.

2.4 ბრალდებულის საჯარო ინკვიზიცია - უკან წარსულში

სახალხო წესით გასამართლება ძველი საუკუნეების ბნელი წლების მონაპოვარია. თანამედროვე დროში, სამართლებრივად განვითარებული ხელმწიფოები კატეგორიულად გამორიცხავენ სასამართლოს გარეთ და მისი გვერდის ავლით პირის მსჯავრდებასა და გასამართლებას. თუმცა, ცალსახაა, რომ დღევანდელ რეალობაშიც კი აშკარად დგას ეს პრობლემა. ბრალდებულები სასამართლო განაჩენის გამოტანამდე სახალხო განსასჯელზე აღმოჩნდებიან ხოლმე და ეს ყოველივე გამოწვეულია მედიასაშუალებების მიერ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებით, ასევე დაზარალებულის ოჯახის წევრებისა და ნათესავების მონაწილეობით უამრავი შოუსა და სიუჟეტების გაშუქებით, რომლებშიც ეს ადამიანები თავიანთ ვარაუდებს მტკიცებითი ფორმით გამოხატავენ. აღნიშნული კი საზოგადოებისთვის ერთგვარი ბიძგია წინასწარ ჩამოუყალიბდეს აზრი პირის დამნაშავეობის შესახებ.⁷⁴

⁷³ ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018. გვ.174

⁷⁴ მაგალითისთვის, ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ მომზადებული რეპორტაჟი სახელწოდებით - რატომ მოკლა 16 წლის დედამ 7 თვის შვილი? უნდა აღინიშნოს, რომ სიუჟეტში

მედიაში გაშუქებული სიუჟეტები დანაშაულის შესახებ, როგორც წესი, წარმოადგენს გარკვეული პოზიციის მხარდაჭერასა და აღიარებას. ამგვარი სახით მიწოდებული ინფორმაცია კი საზოგადოების უმეტესი ნაწილის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ხშირ შემთხვევაში სიუჟეტები მომზადებულია იმგვარად, რომ საზოგადოება აღიქვამს ბრალდებულს როგორც დამნაშავეს. გარდა ამისა, რაც უფრო უარესია, ეს სიუჟეტები ხშირად მოიცავს ბრალდებულის წარსულ ცხოვრებაზე ინფორმაციას. ამგვარი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ბრალდებულის წარსულში მომხდარ დანაშაულებრივ ისტორიას, რაც ამ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისთვის არარელევანტურია. ხშირად მედიასაშუალებებით ვრცელდება დანაშაულის შედეგად გარდაცვლილი პირის ნათესავების ემოციური ინტერვიუები. მათი უმრავლესობა ღიად აცხადებს, რომ ბრალდებული დამნაშავეა. აღნიშნული კი იწვევს საზოგადოებაში პირის დამნაშავეობის შესახებ ცალსახა შეხედულების ჩამოყალიბებას.

რა ხდება ამ დროს? საზოგადოება სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე თავად წყვეტს ბრალდებულის დამნაშავეობის საკითხს. ადამიანები საჯაროდ და ღიად საუბრობენ დანაშაულის მოტივზე, რომელიც შესაძლოა სრულებით მცდარი იყოს, თუმცა დანამდვილებით ამტკიცებენ ამ მოტივის სისწორეს. ქუჩებში, სკოლებში, ნებისმიერ დაწესებულებებში, სოციალურ ქსელებში მიმდინარეობს ბრალდებულის საჯარო გასამართლება. ბრალდებული შესაძლოა სასამართლოს გადაწყვეტილებით გამართლდეს კიდევ, თუმცა მას საჯარო ინკვიზიცია და მისი სიმწარე უკვე გავლილი აქვს საკუთარ თავზე. გამართლებული კი რჩება საშინელი ცილისწამების, ლანძღვისა და განკიცხვის მსხვერპლი. ინტერნეტსივრცეში იწერება ათასობით პოსტი და კომენტარი, საზოგადოების ნაწილი ბრალდებულების ლინჩის წესით გასამართლებასაც კი ითხოვს.⁷⁵ და ეს ყოველივე მაშინ, როდესაც პირი ჯერ კიდევ ბრალდებულის სტატუსითაა. მედიასაშუალებებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კი საზოგადოების ნაწილი იგონებს და ავრცელებს ახალ ვერსიებს, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხზე ასევე მის მოტივზე. მაგალითისთვის, როგორც ეს მოხდა მაგდა პაპიდის საქმეზე, როდესაც ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის

გამოთქმული ვერსიები მხოლოდ ვარაუდია და არა დამტკიცებული ფაქტები, რადგან საქმე ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზეა. (იხ. <https://www.youtube.com/watch?v=n8Gpx0U0hkA>) (13.09.2019)

⁷⁵ მაგალითისთვის, საზოგადოების ნაწილის შეხედულებები კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი ბმულების კომენტარებში: https://www.youtube.com/watch?v=9hD_Th9nc6o ; <https://www.youtube.com/watch?v=n8Gpx0U0hkA>) (13.07.2019)

გამოტანამდე ბრალდებულის საჯარო ინკვიზიცია მოხდა, საზოგადოების ნაწილი მის გარეთ გამოყვანას და ლინჩის წესით გასამართლებასაც კი ითხოვდა. და ეს ყოველივე ხდებოდა იმის ფონზე, რომ საზოგადოებას სასამართლოს განაჩენამდე უკვე ჰქონდა საკუთარი გამამტყუნებელი ვერდიქტი. ადამიანები საჯაროდ საუბრობდნენ მედიასაშუალებით გავრცელებულ ინფორმაციაზე, მაგდა პაპიდის მეგობარი მამაკაცის არსებობის შესახებ⁷⁶, მოიხსენიებდნენ მას დამამცირებელი სიტყვებით და ამ ადამიანის არსებობას განიხილავდნენ, როგორც მკვლელობის მოტივს. მედიასაშუალებებით ამგვარი პირადი ინფორმაციის გაშუქებამ ზიანი მიაყენა არამხოლოდ მაგდა პაპიდეს, არამედ თავად ამ მამაკაცსაც, რადგანაც მისი სახელი და გვარი ტელევიზიის საშუალებით გახდა ცნობილი საზოგადოებისთვის.

ხსენებული საქმეების მაგალითზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მედიასაშუალებების ზიანის მომტანი გაშუქების საფუძველზე, არაერთი ბრალდებული გახდა საჯარო ინკვიზიციის მსხვერპლი. დაირღვა მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, მოხდა მათი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების სტიგმატიზაცია, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ევროსასამართლოს მიერ მიღებულ სტანდარტებს.

2.5 მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა საქვეყნო პროცესის ფარგლებში

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.“⁷⁷ ამ პრინციპის შესაბამისად, სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილე სუბიექტები: ბრალმდებელი და ბრალდებული გამოდიან მხარეებად. მხარეებად მათი აღიარება კი ნიშნავს, რომ თავიანთი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მათ მინიჭებული აქვთ თანაბარი პროცესუალური გარანტიები.

⁷⁶ ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზე, მედიასაშუალებებით გასაჯაროვდა იმდროისათვის ბრალდებული მაგდა პაპიდისა და მისი მეგობარი მამაკაცის მიმოწერა. ამჟამად ეს კადრები აღებულია ინტერნეტსივრიდან.

⁷⁷ საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 62, ნაწილი მე-5

ამ პრინციპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ საქმის განხილვაში მონაწილე ორივე მხარე თანასწორია კანონის წინაშე, რითაც აღიარებულია მათი თანასწორობა წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, საქმიანობის ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად. მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საფუძველზე. მხარეთა თანასწორობასა და მათ შორის, შეჯიბრებითობას უზრუნველყოფს ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციათა ერთმანეთისაგან გამოყოფა და მათი დაკისრება სხვადასხვა ორგანოსა თუ პირისათვის.⁷⁸

პროცესში მონაწილე მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებებთან: წარდგენილი ბრალდების არსისა და საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება⁷⁹; საკმარისი დროის და შესაძლებლობების ქონა დაცვის მოსამზადებლად⁸⁰; ბრალდებულმა დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით⁸¹; უფლება დააკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოამახებინოს და დააკითხინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში⁸²; დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლება⁸³ და სხვ.⁸⁴

„ევროპული სასამართლოს განმარტებით სისხლის სამართლის საქმეში შეჯიბრებით პროცესზე უფლება გულისხმობს, რომ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს უნდა მიეცეს მეორე მხარის მიერ წარდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების გაცნობისა და მათზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა⁸⁵. ეს პრინციპი მოქმედებს იმის მიუხედავად, მეორე მხარის მიერ წარდგენილი მასალები შეეხება ფაქტების დადგენას, სამართლებრივ

⁷⁸ იხ. ზ. რუხაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი 1999, გვ.359

⁷⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6.3 (ა)

⁸⁰ იქვე. მუხლი 6.3 (ბ)

⁸¹ იქვე. მუხლი 6.3 (გ)

⁸² იქვე. მუხლი 6.3 (დ)

⁸³ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად უფლება სასამართლოს მოტივირებულ გადაწყვეტილებაზე ევროპული კონვენციის 6 მუხლის ერთ-ერთი უფლებაა.

⁸⁴ იხ. საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, კვლევა და რეკომენდაციები, თბილისი, 2015, გვ. 12-13

⁸⁵ ECHR , Brandstetter v. Austria, 28/08/1991, §67; ECHR, Laukkanen and Manninen v. Finland, 3/02/2004, §34

არგუმენტებს საქმის არსებით გარემოებებზე, თუ შუამდგომლობებს საპროცესო საკითხებზე⁸⁶.⁸⁷

მხარეთა თანასწორობა ევროპული სასამართლოს აზრით, გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის, მათ შორის მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ ჩააყენებს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგესთან შედარებით⁸⁸. აქედან გამომდინარე, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა გულისხმობს დაცვის და ბრალდების მხარეთა თანაბარ შესაძლებლობებს, მოიპოვონ, შეისწავლონ, წარადგინონ და გამოიკვლიონ საკუთარი და მოწინააღმდეგე მხარის წარდგენილი მტკიცებულებები და მოსაზრებები; გამოთქვან საკუთარი მოსაზრება მეორე მხარის მიერ გამოთქმულ პოზიციასთან დაკავშირებით და სხვ. სასამართლო კი უნდა იყოს აღნიშნულ შესაძლებლობების რეალიზების გარანტი. მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე აგებული სისხლის პროცესის მიზანია უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი სასამართლო განხილვა⁸⁹.⁹⁰

მხარეთა თანასწორობა სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი მახასიათებელია. მოცემული გულისხმობს, რომ ყოველ მხარეს თავისი მოსაზრებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა უნდა მიეცეს ისეთ ვითარებაში, რომელიც არ ჩააყენებს მას მის ოპონენტთან შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში. ⁹¹ მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოითხოვს მხარეებს შორის სამართლიანი ბალანსის დამყარებას და იგი თანაბრად ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე.⁹²

შეჯიბრებითი სასამართლო პროცესის უფლება გულისხმობს, რომ მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმესთან დაკავშირებით არსებულ ყველა

⁸⁶ ECHR, *Kamasinski v. Austria*, 19/12/1989, §102.

⁸⁷ საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, კვლევა და რეკომენდაციები, თბილისი, 2015, გვ.13

⁸⁸ ECHR, *Bulut v. Austria*, 22/02/1996, §47

⁸⁹ ⁸⁹ საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, კვლევა და რეკომენდაციები, თბილისი, 2015, გვ.14

⁹⁰ იქვე.

⁹¹ ECHR, *Foucher v. France*, 18/03/1997, § 34; ECHR, *Bobek v. Poland*, 17/07/2007, § 56; ECHR, *Klimentyev v. Russia*, 16/11/2006, § 95

⁹² ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6 მუხლთან დაკავშირებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (სისხლისსამართლებრივი ასპექტები), 2014, გვ. 31

მტკიცებულებებს და მოსაზრებებს და კომენტარები გააკეთონ ამასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. შეჯიბრებითი სასამართლო პროცესის უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული მხარეთა თანასწორობასთან და გარკვეულ შემთხვევებში სასამართლოს ამ ორივე პრინციპის ერთობლიობაში განხილვის საფუძველზე დაუდგენია მე-6 მუხლის 1-ელი ნაწილის დარღვევა. სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში მე-6 მუხლის 1-ელი ნაწილი განიხილება ერთობლიობაში იმავე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გარანტიებთან, თუმცა ეს არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ მუხლით დადგენილი მინიმალური უფლებებით. მართლაც, მე-6.3 მუხლში ასახული გარანტიები მთელ რიგ სხვა ელემენტებთან ერთად წარმოადგენენ მე-6.1 მუხლში ასახული სამართლიანი სასამართლო განხილვის შემადგენელ ელემენტებს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ამ მიზნით ის უფლებამოსილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები, და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მართლმსაჯულებისა და მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მონაწილეთა ან/და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირთა მიმართ განსახილველი საქმის გარკვეული მონაცემების საჯაროდ გავრცელებისაგან დაცვის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის მიზეზი, როგორც წესი, არის გამოძიების ინტერესი (მაგ., გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების შემთხვევაში, შესაძლოა დანაშაულის ჩამდენი პირები მიიმალონ, გაანადგურონ მტკიცებულებები, დაემუქრონ პროცესის მონაწილეებს); პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული, სახელმწიფო საიდუმლოების, არასრულწლოვნის ინტერესების, პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის

წევრის, ახლო ნათესავის პირადი უსაფრთხოების დაცვა; სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის, ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვა; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

გამომძიებელი/პროკურორი უფლებამოსილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები, და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მაგალითად, მოწმე ან დაზარალებული დაავალდებულოს არ გაამჟღავნოს მისი ჩვენების შინაარსი; ბრალდებულის ადვოკატი დაავალდებულოს არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ბრალდების მხარის მიერ გადაცემული მტკიცებულებებიდან.⁹³

ამგვარ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი/ გამომძიებელი ავალდებულებს დაცვის მხარეს არ გაამჟღავნოს გამოძიების მიმდინარეობისას მიღებული ინფორმაცია, თავად კი საჯარო განცხადებების საშუალებით მთელს მედიასივრცეში ავრცელებს ბრალდების მხარის სასიკეთო ინფორმაციას, მოპოვებულ მტკიცებულებებსა და საკუთარ ხედვას დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, ბრალდებული აღმოჩნდება უთანასწორო მდგომარეობაში და მას არ შეუძლია საკუთარი პოზიციის დასაცავად გასცეს მიღებული ინფორმაცია, რათა თავიდან აიცილოს საზოგადოებაში მისი საწინააღმდეგო შეხედულებების გავრცელება. საზოგადოებას მიეწოდება მხოლოდ ერთი მხარის პოზიცია, მედიასაშუალებები კი ხშირად სწორედ ამ პოზიციის გამზიარებლები არიან და შედეგად საზოგადოების დიდ ნაწილს ექმნება წინასწარი შეხედულებები ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით. საგამომძიებო საქმიანობის განმახორციელებელი და მასში მონაწილე პირების მხრიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც მედიასთან გადაჭარბებული „თანამშრომლობის“ საფუძველზე დაცვის მხარე აშკარა უთანასწორობის მსხვერპლი ხდება. ეილინ უორნოსის საქმეში ერთ-ერთი შემაშფოთებელი ასპექტი იყო სამართალდამცავების ჩართულობა მედიასთან. მატერიალური სარგებლის მიღების სანაცვლოდ მედიასთან გარიგებების წარმოებისათვის სამი პოლიციელი გათავისუფლდა მოვალეობის შესრულებისგან. ოფიცრები აცხადებდნენ, რომ საქმის მათი ვერსიის გაყიდვისას მხოლოდ და მხოლოდ სუფთა განზრახვით მოქმედებდნენ და რომ მიღებული თანხის დაზარალებულთა კომპენსაციის ფონდში გადახდა იგეგმებოდა.

⁹³ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 335

თანასწორობისა და შეჯიბრებითობის დარღვევის არსებობის საკითხის განხილვისას სასამართლო საკითხს იხილავს ორი კუთხით:

1. რაში გამოვლინდა და რა გავლენა იქონია უკვე აღნიშნულმა უთანასწორობამ მხარის უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობაზე;
2. აღნიშნულ უთანასწორობას რა გავლენის მოხდენა შეუძლია/მოახდინა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

ორივე შემთხვევაში, მხარის უპირატესობის გავლენის შეფასებისას გამოიყენება საქმის გარემოებათა ერთობლიობის ტესტი, რომლის საფუძველზეც სასამართლო სამართალწარმოების მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით აფასებს იმ საკითხს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ერთი მხარისათვის მინიჭებული უპირატესობა შედეგობრივი თვალსაზრისით, ანუ რა გავლენა მოახდინა უთანასწორობამ მხარის ინტერესებზე.⁹⁴

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის უთანასწორობა იწვევს საზოგადოებაში ბრალდებულის დამნაშავეობის საკითხზე წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობის შექმნას, რასაც შემდგომში შეუძლია საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

„პროკურორის საჯარო განცხადება პოტენციურად რისკის შემცველია, ვინაიდან პროკურატურას, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს, ადვილად შეუძლია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება.“⁹⁵ მას საზოგადოებრივი აზრის განსაზღვრა შეუძლია არა მხოლოდ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, არამედ ბრალდებულების მიმართაც. თუ გავითვალისწინებთ მედია პოლიტიკას, რომელიც მიმართულია, მუდმივ რეჟიმში მიაწოდოს საზოგადოებას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე შემზარავი, მძაფრი და ამაღელვებელი სიახლეები, პროკურორის საჯარო განცხადებამ შეიძლება წინასწარი განწყობა შეუქმნას საქმის განმხილველ ნაფიც მსაჯულებს და ხელყოს ბრალდებულის უფლებები. პროკურორის სტატუსი და გავლენა საკმაოდ დიდია საზოგადოების თვალში, ამიტომ მის საჯარო განცხადებას შეუძლია შელახოს ადამიანის რეპუტაცია, ხელყოს მისი სამართლიანი სასამართლოს უფლება, საზოგადოებაში დამნაშავედ წარმოაჩინოს ბრალდებული და ამავე დროს საზოგადოებას დააკარგვინოს ნდობა და პატივისცემა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართ. რაც

⁹⁴ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 09/03/2009 წლის #1198 აპ-08 განჩინება.

⁹⁵ ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018. გვ.162

ყველაზე მთავარია, პროკურორის საჯარო განცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს უდანაშაულო ადამიანის მსჯავრდება⁹⁶.⁹⁷

აქედან გამომდინარე, დაცვის მხარე აშკარა უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდება, როდესაც პროკურორი საზოგადოებას საჯარო განცხადებების გზით აწვდის დანაშაულის საკუთარ ვერსიას მტკიცებით ტონში, მით უფრო როდესაც დაცვის მხარეს ვალდებულება აქვს მტკიცებულებებსა და საქმის გამოძიების თაობაზე ინფორმაციის გაუმჟღავნებლობისა. პროკურატურის მიერ გამოთქმულ ვერსიებს, თავისთავად უფრო დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ვიდრე ბრალდებულის დამცველის სიტყვასა და ვერსიას და ამ უკანასკნელის უთანასწორობა მით უფრო აშკარაა, როდესაც საზოგადოებისათვის ნაკლებად „გავლენიანი“ მოსაზრებების გამოთქმის უფლებაც კი ერთმევა გაუმჟღავნებლობის ვალდებულებიდან გამომდინარე.

2.6 გავლენა სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე

„სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე, კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ.“⁹⁸ სამართლიანი სასამართლოს უფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით და ზოგიერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. მათ შორის, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-9 და მე-14 მუხლი), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მე-5 და მე-6 მუხლი), ევროპის

⁹⁶ Gershman, Bennett L., The Prosecutor’s Duty of Silence, Pace University, DigitalCommons@Pace, Pace Law Faculty Publications School of Law, 2016, p. 1183-1184 (იხ.:

<https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2014&context=lawfaculty>) (14.07.2019) ;

Matheson, Scott, Jr. M., The Prosecutor, The Press, and Free Speech, Fordham Law Review, Volume 58 | Issue 5 Article 1, 1990, p. 868 (იხ.:

<https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2878&context=flr>) (14.07.2019).

⁹⁷ ვრცლად იხ. ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018. გვ.162

⁹⁸ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი ნაწილი

კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია (47-ე მუხლი), ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (მე-8 მუხლი).

სამართლიანი სასამართლოს უფლება, ეს არის კანონის უზენაესობის ქვაკუთხედი. ამგვარი სამართლიანობა მოითხოვს სამართლიანი სასამართლოს მიერ სასამართლო პროცესის განხორციელებას სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით.⁹⁹

ევროპის სასამართლომ, უფრო ადრე კი ევრო კომისიამ, ფართო განმარტება მისცა აღნიშნულ უფლებას, რამდენადაც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. საქმეში „დელკურტი ბელგიის წინააღმდეგ“ სასამართლომ განაცხადა: „დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სამართალწარმოების განხორციელებას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომ [ევროკონვენციის] მე-6.1 მუხლის შეზღუდულად განმარტება არ იქნებოდა შესაბამისობაში მის მდგომარეობასთან“.¹⁰⁰ ევროკონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებები გამოიყენება არა მარტო უშუალოდ საქმის განხილვის დროს, არამედ საქმის სასამართლოში განხილვამდე და განხილვის დამთავრების შემდეგ. სისხლის სამართლის საქმეებზე მე-6 მუხლის გარანტიები ვრცელდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ წინასწარი გამოძიების წარმოების ეტაპზეც. საქმეში „იმბროშა შვეიცარიის წინააღმდეგ“ სასამართლომ დადგინა, რომ მე-6 მუხლით დაცული გონივრული ვადის პრინციპი მოქმედებს ბრალდების წაყენების მომენტიდან, ასევე მე-6 მუხლით დაცული სხვა მოთხოვნები, განსაკუთრებით მე-6.3. მოთხოვნა, აქტუალურია ჯერ კიდევ საქმის სასამართლოსათვის გადაცემამდე და შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლება სერიოზულად შეიძლება დაირღვეს, თუ ამ უფლების გარანტიები დაცული არ იქნება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე.¹⁰¹

სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში მოიაზრება ბრალდებულის უფლების რეალიზება, ისარგებლოს მისი საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვის უფლებით, ამასთან, არსებითად არ დაირღვეს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლება და უზრუნველყოფილ

⁹⁹ რ.კ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები (მეორე გამოცემა), თბილისი, 2006, გვ.348

¹⁰⁰ ECHR, Delcourt v. Belgium, 17/01/1970, §25

¹⁰¹ ვრცლად ამ საკითხზე იხ. თ. გაბისონია, მ. გიომილი ე. დარსანია სხვ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თქვენი ფუნდამენტური უფლებები/The European Court of Human Rights and Your Fundamental Rights., თბილისი, 2005.

(იხ. <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0-10-0---0--0direct-10---4-----0-11-11-ru-50---20-help---00-3-1-00-0-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL4.3&d=HASH16962e6e5f360cc5d20325.8>=1>) (14.07.2019)

იქნეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა საზოგადოების თვალში სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის და მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულების განცდის მნიშვნელობის გათვალისწინებით¹⁰². ნაფიც მსაჯულთა მიერ მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სახელმწიფომ უნდა გადადგას გონივრული ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საკუთარ ფუნქციათა განხორციელებისას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობას ზიანი არ მიადგეს განსახილველი საქმის გახმაურების გამო.

მედიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ფონზე განსაკუთრებით აქტუალური ხდება საკითხი, რომელიც ტრადიციულ სასამართლო სისტემებსაც კი სერიოზული დილემის წინაშე აყენებს – ესაა ნაფიც მსაჯულებზე მედიის ზეგავლენა. როგორც წესი, ნაფიცმა მსაჯულმა სხდომის დაწყებამდე საქმის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს. მან ვერდიქტი მხოლოდ სხდომაზე მოსმენილ და დანახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა გამოიტანოს. მედიას კი შეუძლია შექმნას პოტენციური მსაჯულის განწყობა ბრალდებულის წინააღმდეგ ან მის სასარგებლოდ, ასევე ისეთი დეტალების გამჟღავნებაც, რომლებიც შეიძლება საქმეზე დაუშვებელ ინფორმაციას წარმოადგენდეს მისი არარელევანტურობის კუთხით. შესაბამისად, წარმოიშვება კონფლიქტი ადამიანის ორ ფუნდამენტურ უფლებას – ინფორმაციის თავისუფლებასა და სამართლიან სასამართლოზე ბრალდებულის უფლებას – შორის. აღნიშნული დილემა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად წყდება: ამერიკის შეერთებულ შტატებში¹⁰³ უპირატესობას სიტყვის თავისუფლებას ანიჭებენ და განსაკუთრებულ გარემოებების გარდა პრესას არ ზღუდავენ. დიდი ბრიტანეთი კი წინ სასამართლო პროცესს აყენებს და პრესა იზღუდება კანონით დადგენილი პრევენციული, ზოგჯერ რეპრესიული მეთოდებითაც კი¹⁰⁴.¹⁰⁵ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ როგორც წესი, ნაფიც მსაჯულებს მოეთხოვებათ ვერდიქტის გამოტანა მხოლოდ იმ მტკიცებულებების და იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც მათ მოისმინეს სასამართლო სხდომის დარბაზში,

¹⁰² ECHR, *Borgers v. Belgium*, 30/10/1991, §24

¹⁰³ შემდგომში აშშ.

¹⁰⁴ „სასამართლოს უპატივცემულობის“ (Contempt of the Court Act) 1981 წლის ინგლისის კანონით, მედიას ეკრძალება საქმის განხილვაზე ზეგავლენის მომხდენი მასალების გამოქვეყნება. უფრო მეტიც, აღნიშნულის გამო მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც კი შეიძლება აღიძრას. შოტლანდიაში კანონი კიდევ უფრო მკაცრია და პრესაც სასამართლო პროცესის გაშუქებისას მეტ სიფრთხილეს იცავს.

¹⁰⁵ http://www.library.court.ge/upload/nafic_msajulTa_sasamarTlo.pdf გვ.11-12 (14.07.2019)

მედიასაშუალებებით კი შესაძლებელია, ერთის მხრივ, მოხდეს საზოგადოებრივი აზრის ფორმირება საქმის ირგვლივ, რაც ზეგავლენის ქვეშ მოაქცევს ნაფიც მსაჯულებს, როგორც საზოგადოების წარმომადგენლებს, ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება მსაჯულებს მიეწოდოთ ისეთი ინფორმაცია საქმის გარშემო, რომელიც მათ ბრალდების ან დაცვის სასარგებლოდ განაწყობს, ან ინფორმაცია, რაც დაუშვებელ მტკიცებულებად იქნებოდა ცნობილი საქმის განხილვისას¹⁰⁶.¹⁰⁷ უნდა აღინიშნოს, რომ ევროკონვენცია არ მოითხოვს ნაფიცი მსაჯულებისგან მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, და მე-6 მუხლი არ კრძალავს მოპასუხის საქმის განხილვას ნაფიცი მსაჯულების მიერ მაშინაც კი, თუ ვერდიქტში არ არის დასახელებული მისი განმარტებული მიზეზები,¹⁰⁸ რაც თავისთავად ზრდის ისეთი ვერდიქტის გამოტანის ხარისხს, რომელიც არა მტკიცებულებებზე, არამედ საზოგადოებაში არსებულ შეხეხედულებებზეა დაფუძნებული. „ასეთ შემთხვევაში გაცილებით მაღალია ალბათობა ნაფიცი მსაჯულის გარკვეული სახის ზეგავლენების ქვეშ მოქცევის, როდესაც მათ არ მოეთხოვებათ დასაბუთებული ვერდიქტის გამოტანა, განსხვავებით მოსამართლისგან, რომელიც იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, საქმეში არსებული მტკიცებულებების უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით.“¹⁰⁹

გარდა ამისა, საერთო სამართლის მოდელის სასამართლოს პრაქტიკაში მრავლადაა შემთხვევები, როცა ნაფიც მსაჯულებს გამატყუნებელი მტკიცებულებებისა და კანონის მოთხოვნების საპირისპიროდ, გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოაქვთ. ეს მოვლენა „ნაფიც მსაჯულთა ნულიფიკაციის“ სახელითაა ცნობილი.¹¹⁰ აღნიშნული განიმარტება, როგორც ნაფიც მსაჯულთა მიერ გაცნობიერებულად და წინასწარგანზრახულად მტკიცებულების უგულვებელყოფა, ან კანონის გამოყენებაზე უარის თქმა, რითაც მსაჯულებს სურთ მიანიშნონ ის, რომ მოცემულ სოციალურ საკითხს უფრო ფართო განზომილება აქვს ვიდრე კონკრეტულ საქმეს, ან ის, რომ კანონის მოთხოვნა საქმის იურიდიულ შედეგებთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება მათ

¹⁰⁶ მაგალითად, შესაძლებელია ეს იყოს, ბრალდებულის წარსული ნასამართლობა, მისი აღიარებითი ჩვენება გამოძიების ეტაპზე, საქმეში არსებული ისეთი ინფორმაცია, რაც წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი და ა.შ.

¹⁰⁷ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ.672

¹⁰⁸ იხ. ECHR, Sanic v. Denmark, 2/02/1999

¹⁰⁹ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ.673

¹¹⁰ უფრო ვრცლად იხ. http://www.library.court.ge/upload/nafic_msajulTa_sasamarTlo.pdf (14.07.2019)

შეხედულებებს სამართლიანობაზე ან მორალზე. ნულიფიკაცია საერთო სასამართლოს განუყოფელი მახასიათებელია. მიუხედავად იმისა, რომ ნულიფიკაცია უგულვებელყოფს კანონის უზენაესობას და მართლწესრიგს, ის ნაფიც მსაჯულთა დამოუკიდებლობის გარდაუვალი შედეგია, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოს ძალმომრეობისაგან ინდივიდის დაცვის ყველაზე მყარ გარანტიად ითვლება.¹¹¹

აღნიშნულის მაგალითები მრავლადაა საერთო სამართლის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ინგლისსა და აშშ-ში. მაგალითად, ე.წ. „ტალილომიდის საქმე“, რომელშიც დედას ბრალად ედებოდა ახალშობილი შვილის მკვლელობა. განსასაჯელი ორსულობის პერიოდში რეგულარულად იღებდა პრეპარატ ტალილომიდს, რომელიც, როგორც შემდგომში გაირკვა, ნაყოფის დაზიანებას იწვევს. ახალდაბადებულს დეფორმირებული ჰქონდა თავი და ფეხები, ხელები კი საერთოდ არ გააჩნდა. ბრალდების მხარე ამტკიცებდა, რომ განსაჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა ეჭვგარეშე დასტურდებოდა მოყვანილი მტკიცებულებით. თვითონ განსასაჯელმაც აღიარა დანაშაული და მიუთითა, რომ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან ბავშვს მთელი ცხოვრება ტანჯვაში უნდა გაეტარებინა. ნაფიცმა მსაჯულებმა განსასაჯელი უდანაშაულოდ ცნეს. გარდა ამისა, 1993 წელს აშშ-ში ლორენა ბობიტი, რომელმაც სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენა თვის ქმარს – ჯონ უეინ ბობიტს, ნაფიცმა მსაჯულებმა, მის მიერ ჩადენილის აღიარების მიუხედავად, გაამართლეს. ასევე, 1997 წელს აშშ-ში ნაფიცმა მსაჯულებმა ქმრის მკვლელობაში ეჭვმიტანილ აირის პაინის მიმართ გამოიტანეს ვერდიქტი „უდანაშაულოა“ მიხედვად მისი ბრალეულობის უეჭველად დამასაბუთებელი გარემოებებისა. ძირითადად ქალებისაგან შემდგარმა ჟიურიმ, ჩათვალა, რომ მისის პაინს ტირანი ქმრისაგან განთავისუფლების სხვა საშუალება არ გააჩნდა. რუსეთში 2000-იანი წლების დასაწყისში, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული კრასნინას საქმის განხილვისას ნაფიცმა მსაჯულკებმა დაასკვნეს: „არ არის დამნაშავე, თუმცა მკვლელობა მან ჩაიდინა“.¹¹² ნულიფიკაციის განსაკუთრებით გახმაურებული მაგალითი ო ჯეი სიმპსონის საქმე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომლის წევრთა უმრავლესობა შავკანიანი იყო, საქმის განხილვის შედეგად ო ჯეი სიმპსონის მიმართ გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანა. „საუკუნის პროცესად“ იწოდდა ჯონ ჰინკლის საქმე, რომელმაც 1981 წელს ვაშინგტონში, სასტუმროდან გამოსულ აშშ-ს პრეზიდენტს - რონალდ რეიგანს ესროლა. ჰინკლის მიერ

¹¹¹ იქვე. გვ. 13

¹¹² იქვე. გვ.13

ნასროლი მეექვსე ტყვია პრეზიდენტს მკერდში მოხვდა. დაჭრილ რეიგანს საკმაოდ რთული ოპერაცია ჩაუტარდა. გამოკითხული საზოგადოების 83% ჰინკლს დამნაშავედ მიიჩნევდა. თუმცა, სასამართლო პროცესის მსვლელობისას დადგინდა, რომ ამ ფაქტიდან რამდენიმე დღით ადრე მსახიობ ჯუდი ფოსტერზე შეყვარებულმა ჰინკლმა მას წერილი მისწერა. ჰინკლი სწერდა, რომ შეყვარებულის ყურადღების მისაქცევად ის თავდასხმას მოაწყობდა პრეზიდენტზე. ეს ფაქტი ჯუდი ფოსტერმა პროცესზე დაადასტურა. თათბირის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ განსასჯელს გამამართლებელი ვერდიქტი გამოუტანა.¹¹³

თუმცა, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის საკითხში მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია. იგი დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, აღნიშნულში მოიაზრება, ისეთი გარემოებების არსებობა, როდესაც საზოგადოებაში წინასწარ არის შექმნილი აზრი პირზე, როგორც დამნაშავეზე, ან პირიქით, ფართოდ არის გავრცელებული აზრი მის უდანაშაულობაზე, რაშიც ხშირად მასმედიის წარმომადგენლები ან მათი საშუალებით მხარეები აქტიურად მონაწილეობენ. ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლება საფრთხის ქვეშ დგება, როდესაც ადგილი აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უხეშ ჩარევას სამართალწარმოების პროცესში, როდესაც ისინი სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე ფართოდ აშუქებენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, აწყობენ საჯარო განხილვებს, მათ შორის, პროკურორების და ადვოკატების მონაწილეობით, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და ამით ცდილობენ, საზოგადოების სახელით საკუთარი აზრი მოახვიონ ნაფიც მსაჯულებს, რაც პროფესიონალ, გამოცდილ მოსამართლესთან შედარებით უფრო მარტივი მოსახერხებელია. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს უნდა იყოს მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც აშკარაა როგორც საზოგადოების უდიდესი ნაწილის განწყობა, ასევე, აშკარაა, რომ ნაფიცი მსაჯულები მოქცნენ (ან მაღალი ალბათობით მოექცევიან) საზოგადოებაში შექმნილი განწყობის ზემოქმედების ქვეშ, რაც მომავალში აისახება მათ მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე.¹¹⁴

¹¹³ იქვე გვ.14

¹¹⁴ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ.672

იმისათვის, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა ეფექტურად იყოს დაცული მედიის ზიანის მომტანი ზეგავლენისაგან, ზემოქმედება უნდა მოხდეს ან სასამართლო პროცესზე, ან - თავად მედიაზე. სასამართლო პროცესზე ზემოქმედების მექანიზმები განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, საქმეში შეპარდი მაქსველის წინააღმდეგ, 1954 წელს დააკავეს ცნობილი ექიმი სემ შეპარდი თავისი ფეხმძიმე ცოლის – მერილინის მკვლელობის გამო. შეპარდი ამტკიცებდა, რომ მკვლელობა მისი ჩადენილი არ იყო. მან განაცხადა, რომ შუადამისას მათ სახლში თავს დაესხა უცნობი მამაკაცი, რომელმაც მოკლა მისი მეუღლე, ხოლო მას ორჯერ ჩაარტყა თავში, რის შემდეგაც იგი უგონო მდგომარეობაში დაეცა.¹¹⁵ ამ საქმის მიმდინარეობას აქტიურად აშუქებდა პრესა და ტელევიზია. მედიის განწყობა შეპარდის მიმართ აშკარად ნეგატიური იყო, რაც თავისთავად აისახა კიდევ მსაჯულთა ვერდიქტზე. სახელმწიფომ ვერ შეძლო დაეცვა მსაჯულები ასეთი ზეგავლენისაგან. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. აღნიშნული ზეგავლენის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში და უზენაესი სასამართლო დაეთანხმა ბრალდებულის მტკიცებას პროცესის სამართლიანობის დარღვევის შესახებ, დაადგინა მისი ხელშეორედ გასამართლება, რის შემდეგაც მას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა.¹¹⁶

თუმცა, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ასევე არსებობს შემთხვევა, როდესაც ბრალდების მხარემ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას, მას შემდეგ, რაც მსაჯულებმა ვერ მიიღეს ვერდიქტი და დანიშნულ იქნა ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომა, სასამართლოსთან იშუამდგომლა საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილვა იმ მოტივებით, რომ საზოგადოებაში არსებული განწყობა¹¹⁷ აისახებოდა ნაფიც მსაჯულებზე, აქედან გამომდინარე, ვერდიქტის გამოტანისას ისინი ვერ იქნებოდნენ ობიექტურები და მიუკერძოებლები, რაც თავისთავად ხელყოფდა ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას. აღნიშნული შუამდგომლობა სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული. შუამდგომლობის განმხილველმა მოსამართლემ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო ის საფრთხეები, რაზეც ბრალდების მხარე აპელირებდა და ასეთი საფრთხეების არარსებობის პირობებში საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის

¹¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თბილისი, 2012, გვ.101

¹¹⁶ იქვე.

¹¹⁷ წინასწარ შექმნილი მიდგომა, რომ ბრალდებული დამნაშავეა, ასევე, განცდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემამ ვერ გაამართლა.

გარეშე განხილვით დაირღვეოდა ბრალდებულის არჩევანის უფლება, საქმე განეხილა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. საინტერესოა, რომ განხილულ საქმეზე თავად ბრალდებულმა არ თქვა უარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, მიუხედავად იმისა, რომ, საზოგადოებაში გავრცელებული აზრის თანახმად, ის მართლაც დამნაშავედ მიიჩნეოდა.¹¹⁸

თუმცა, არაერთი მაგალითია იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმის გახმაურება და მედიის გადაჭარბებული ჩართულობა ამ საქმეში დიდ ზიანს აყენებს ბრალდებულის უფლებას განიხილოს მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. თეორიულად, ბრალდებულს არ ეზღუდება აღნიშნული უფლება თუმცა, პრაქტიკაში ამ უფლების რეალიზება ვერ ხდება სათანადოდ. განსაკუთრებით თუ ეს ეხება საქართველოს. გამომდინარე მოსახლეობის მცირერიცხოვნობიდან, გახმაურებული საქმის განსახილველად თითქმის შეუძლებელი ხდება ისეთი ნაფიცი მსაჯულის მოძიება, რომელსაც არ აქვს ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, რომელსაც არ აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული შეხედულება ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით. მართალია, ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობა შერჩევის სხდომაზე ირწმუნება, რომ ინფორმაციის ფლობა არ წარმოადგენს ხელშემშლელ ფაქტორს მის მიერ მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების კუთხით, როგორც ეს ეილინ უორნოსის საქმეში მოხდა, თუმცა მსაჯულის ობიექტურობის ჭრილში ეს ფაქტი საკმაოდ დიდ კითხვის ნიშანს აჩენს. სწორედ ამავე მიზეზით, ბოლო წლების გახმაურებულ საქმეებში, როგორებიცაა: მაგდა პაპიდის საქმე ასევე მალხაზ კობაურის საქმე, თითქმის შეუძლებელი იყო ისეთი მსაჯულების შეკრება, რომელთა პოზიციაზეც გავლენა არ ჰქონდა მოხდენილი მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციებს. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ ორივე საქმეში ნაფიცმა მსაჯულებმა ერთხმად გამოიტანეს გამამტყუნებელი ვერდიქტი.

¹¹⁸ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ.673

2.7 არასრულწლოვანი ბრალდებულის საპროცესო გარანტიები

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ“ 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო სხდომის დახურულად წარმართვა გამომდინარეობს „პეკინის წესების“ მე-8 წესით გათვალისწინებული კონფიდენციალობის უზრუნველყოფის, ასევე ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის VII ქვეპუნქტით დადგენილ საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე არასრულწლოვანი ბრალდებულის პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის გარანტიიდან. არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის ღიად განხილვის პრინციპიდან გარკვეულ გამონაკლისებს ითვალისწინებს (საქმის განხილვა პრესისა და საზოგადოების დაუსწრებლად) „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ (რომი, 4 ნოემბერი, 1950 წელი) მე-6 მუხლის პირველი ნაწილი^{119, 120}

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის სასამართლოს დახურულ სხდომაზე განხილვა გამოწვეულია მისი საზოგადოებაში ადვილი ინტეგრაციით. იგი მოიცავს მოზარდის აღმზრდელობითსა და სოციალიზაციისათვის აუცილებელ კომპონენტებს და მოზარდის დაცვის მნიშვნელოვანი საშუალებაა.¹²¹ ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოზარდი საქმის საჯარო განხილვით შეიძლება ისეთი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდეს,¹²² რომ შეუძლებელი იყოს მისი სწრაფი რეაბილიტაცია, მოხდეს მისი სტიგმატიზაცია,¹²³ მით უფრო, თუ საქმე მორალური ხასიათის დანაშაულს ეხება და მას დანაშაული არ დაუმტკიცდება. მოზარდის პიროვნების განვითარების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საფუძვლების თანახმად, დახურული სასამართლო სხდომის დროს მოზარდი უფრო მეტად გახსნილია, მისთვის შედარებით კომფორტულია სასამართლოში არსებული ატმოსფერო, ნაკლებად აქვს უნდობლობის გრძნობა

¹¹⁹ იხ. გოგშელიძე რ. (რედ.), 2008, გვ. 352, 353; ზოხაშვილი ი./ ბენიძე მ., 2009, გვ. 52

¹²⁰ მ. შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ.190

¹²¹ Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 2008. S. 497.

¹²² იქვე.

¹²³ Eisenberg, U., 2010. S. 496.

და შეუძლია თავისუფლად ისაუბროს მომხდარზე,¹²⁴ რაც იუვენალური სასამართლოს ძირითადი მიზანია.¹²⁵

აუცილებელია აღინიშნოს, რომ თუ დანაშაული ჩაიდინა 17 წლის მოზარდმა და საქმისწარმოების დროს იგი 18 წლის გახდა, მის მიმართ გამოიყენება სსსკ-ით დადგენილი ზოგადი წესები, რაც გულისხმობს მისი საქმის განხილვის სასამართლო სხდომის საჯაროობას, რაც იურისტ-მეცნიერთა ნაწილის აზრით მოზარდის ეტიკეტირებას გამოიწვევს და ხელს შეუშლის მის რესოციალიზაციას¹²⁶. ინგლისის და უელსის უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებაში, საქმეზე *JC & Anor v The Central Criminal Court* [2014] EWHC 1041 (QB), საუბარია დანაშაულის ჩადენის დროს არასრულწლოვნის, შემდგომ სამართალწარმოების ეტაპზე კი უკვე 18 წელს მიღწეული პირის საქმეში ანონიმურობის დაცვის აუცილებლობაზე. სასამართლოს აზრით, აღნიშნული მნიშვნელოვანია არამხოლოდ ბრალდებულთან მიმართებით, არამედ დაზარალებულებისა და მოწმეების შემთხვევაშიც. მოზარდთა ფსიქოემოციური მდგომარეობა მძიმე სტრესის ქვეშ აღმოჩნდება, როდესაც მათთვის არაკომფორტულ გარემოში უწევთ ყოფნა, მით უფრო, როდესაც განიხილება მათი ცხოვრებისა და ქმედებების გარკვეული ნაწილი სამართლებრივ ჭრილში. ასეთ დროს, დახურული სასამართლო სხდომა გაურკვეველწილად ხსნის დამაბულობისა და „დაშინების“ ფონს, გარკვეულწილად იქმნება საქმის „ვიწრო წრეში“ განხილვის შთაბეჭდილება, რაც მომავალში საზოგადოების მხრიდან მის სტიგმატიზაციას გამოიწვევს.

სასამართლომ სამართლიან სასამართლოზე უფლების დარღვევა დაადგინა საქმეში¹²⁷, რომელიც ორი არასრულწლოვნის მიერ ჩვილი ბავშვის მკვლელობას ეხებოდა. ბრალდებულები გასამართლდნენ სრულწლოვანთა სასამართლოში, თუმცა მათი ასაკის გამო გარკვეული შესწორებები შეიტანეს პროცესის მიმდინარეობაში. ბრალდებულები 11 წლის ასაკის იყვნენ. მათი საქმე 3 კვირიანი საჯარო პროცესის ფარგლებში იქნა განხილული, რომელშიც მედიაც აქტიურად იყო ჩართული. მთავრობის მოსაზრებით, საჯარო სასამართლო პროცესები საზოგადოების ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია რომ საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილება სხვა

¹²⁴ იქვე.

¹²⁵ იხ. მ. შალიკაშვილი, გ.მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2016, გვ.191

¹²⁶ იქვე.

¹²⁷ *T v United Kingdom*, 7 BHRC 659, 2000

ფორმითაც იქნებოდა შესაძლებელი¹²⁸. საჯარო განხილვის გამო ბრალდებულებს არ მიეცათ სასამართლო განხილვაში სრულყოფილი მონაწილეობის საშუალება და შესაბამისად, დაირღვა მათი სამართლიანი სასამართლოს უფლება.

მართალია, ზემოაღნიშნული საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა მკაცრად და იმპერატიულად არეგულირებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის განხილვის წესებს და ამით არასრულწლოვანი ბრალდებულის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, თუმცა გამოძიების ეტაპზე, ბრალდებულის დაკავებისას და სხდომის გარეთ სასამართლოს დერეფანსა და სასამართლოს გარე ტერიტორიაზე ბრალდებული მასმედიის კეთილსინდისიერებაზე დამოკიდებული. ზოგჯერ კი მაუწყებლების მიერ გამოვლენილი გულგრილობისა და დაუკვირვებლობის გამო ზარალდებიან არასრულწლოვანი ბრალდებულები, მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2017 წლის 4 დეკემბერს ე.წ. ხორავას ქუჩის საქმეში ბრალდებული არასრულწლოვნის შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ პირდაპირ ეთერში გაშუქდა ბრალდებულის დაკავების ფაქტი, როდესაც იგი პოლიციაში საკუთარი ფეხით მივიდა. აღნიშნული კადრი გაშუქდა ვიზუალის ყოველგვარი დაფარვის გარეშე, რამაც მისი იდენტიფიცირების საშუალება მისცა საკმაოდ ფართო საზოგადოებას, რადგან ეს საქმე ბოლო წლებში ერთ-ერთი გახმაურებული საქმეა და საზოგადოების ინტერესი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო მეტია.

2.8 მტკიცებულებათა სანდოობა საქვეყნო პროცესის ფარგლებში

აუცილებელია აღინიშნოს, რომ პროცესის საჯაროობას ახასიათებს გარკვეული დადებითი მხარეებიც. მაგალითისთვის, „საქვეყნოობის პრინციპის განხორციელების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა და მართლმსაჯულების კონტროლის საშუალებაა ზეპირობის პრინციპი. რაც გულისხმობს, სისხლის სამართლის საქმის მასალების სასამართლოში სრულფასოვნად ზეპირ გამოკვლევას. რადგანაც, ამ გზით პროცესის დამსწრე საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა, თვალყური ადევნოს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას და მოისმინოს სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რელევანტურ

¹²⁸ მაგალითად, შერჩევითი დასწრების ან სპეციალური რეპორტაჟის მომზადების გზით.

მტკიცებულებებთან დაკავშირებით მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლო სხდომაზე მხარეების მიერ ზეპირად მოსამართლისა (ნაფიცი მსაჯულების) და პროცესის დამსწრე საზოგადოების გასაგონად იყო გამოკვლეული.¹²⁹

თავის მხრივ, „უშუალობის პრინციპი მჭიდროდ არის ზეპირობის პრინციპთან დაკავშირებული და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოში საქმის განხილვის დროს. აღნიშნულ პრინციპს გააჩნია ფორმალური და მატერიალური გაგება. ფორმალური გაგებით უშუალობის პრინციპი მოითხოვს, რომ მხარეების მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება გამოკვლეულ იქნეს სასამართლოს წინაშე, რათა მოსამართლეს (ნაფიც მსაჯულებს) პირდაპირი და უშუალო წარმოდგენა შეექმნას საქმის გარემოებებზე.“¹³⁰ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქვეყნო პროცესის ფარგლებში ზეპირად და უშუალოდ გამოკვლეული მტკიცებულებები საზოგადოების მხრიდან აღიქმება ნდობის მაღალი სტანდარტით. როდესაც საზოგადოება თვალს ადევნებს თითოეული მტკიცებულების გამოკვლევას, იგებს მის შინაარსსა და მნიშვნელობას და ამის შემდეგ უყალიბდება შეხედულება სისხლის სამართლის საქმეზე. მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები კი მედიასაშუალებებით გადაიცემა და ამ დროს შესაძლებელია, მაგალითისთვის, მნიშვნელოვანი მოწმის დაკითხვის ტრანსლაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნული ფაქტი, რომ მოწმეს მთელი საზოგადოება უსმენს და აკვირდება, შესაძლოა გახდეს მისი მხრიდან გულახდილობის მთავარი განმაპირობებელი მიზეზიც. გარდა ამისა, მტკიცებულებათა მედიასაშუალებების კამერების წინაშე გამოკვლევის პროცესში მინიმუმამდეა დაყვანილი მათი გაყალბების შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით. გარდა ამისა, საზოგადოება, სასამართლო სხდომაზე დასწრებით ან მედიასაშუალებების მიერ პროცესის მიმდინარეობის გაშუქების გზით, მაქსიმალურადაა ჩართული ყოველი ფაქტისა თუ გარემოების გამოკვლევასა და მათ შორის კავშირის დამყარებაში. ამ გზით, დაინტერესებული პირისთვის სრულებით ნათელი და გასაგები ხდება თუ რა საფუძველზე იქნა მიღებული სასამართლოს ესა თუ ის გადაწყვეტილება, რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მტკიცდება ბრალდებულის დამნაშავეობა ან

¹²⁹ გ.თუმანიშვილი. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014. გვ. 86

¹³⁰ იქვე. გვ.86

ვერ მტკიცდება მისი დამნაშავეობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. აღნიშნული კი დადებითად მოქმედებს, ერთი მხრივ მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ადამიანების ანგარიშვალდებულების გრძნობაზე, მეორე მხრივ, საზოგადოების მხრიდან სასამართლოს მიმართ ნდობის განმტკიცების პროცესზე.

თუმცა, მოწმეთა სანდოობის კუთხით არსებობს გარკვეული რისკიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე, მედიასაშუალებების მიერ შესაძლოა მოხდეს გახმაურებული საქმის მტკიცებულებათა გამოკვლევის გაშუქება, მათ შორის მოწმის დაკითხვის ტრანსლაცია. რა დროსაც მოწმე შესაძლოა სიმართლის თქმის შემთხვევაში გარკვეული პრობლემების წინაშე დადგეს. მაგალითისთვის, როდესაც მოწმემ უნდა თქვას ისეთი რამ, რაც მის ღირსებას, სამსახურეობრივ რეპუტაციას, ოჯახს დააყენებს საფრთხის ქვეშ. მოწმე კი ხედავს, რომ მისი სიტყვები გაშუქდება მედიასაშუალებების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით, შემდგომში ეს კადრები შესაძლოა აიტვირთოს ინტერნეტსივრცეში და გახდეს ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, როგორც საჯარო ინფორმაცია¹³¹. ასეთ დროს, მოწმე დილემის წინაშე დგება, თქვას სიმართლე, როგორც ამას კანონი ავალდებულებს, თუ გადაარჩინოს საკუთარი ინტერესები. დახურული სხდომის შემთხვევაში, მსგავსი ინფორმაციის გავრცელება ხდება მხოლოდ სხდომის დარბაზში მყოფი პირების ფარგლებში, რაც შესაძლოა იმხელა ზიანის მომტანი არ იყოს მოწმისათვის, როგორც საქვეყნო პროცესის ფარგლებში იქნებოდა. ამგვარ სიტუაციაში, კანონი იცნობს სხდომის ნაწილობრივ დახურვის სტანდარტს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობა სხდომის ნაწილის დახურვის თაობაზე, მეორე მხრივ, კი საჭიროებს მოსამართლის თანხმობას, სხდომის დახურვის აუცილებლობიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსამართლე დააკმაყოფილებს შუამდგომლობას სხდომის ნაწილის დახურვის თაობაზე, აღნიშნული ფაქტი ცხადდება საჯაროდ და ეს უკვე აჩენს გარკვეული სახის ეჭვებს საზოგადოებაში, რომ მოწმე რაღაცას მალავს, რაც თავისთავად აისახება საზოგადოების მხრიდან მოწმისადმი ნდობის ხარისხის შემცირებაში.

¹³¹ როგორც ეს მოხდა მაგდა პაპიძის საქმეში. მოწმეთა დაკითხვების ამსახველი კადრები განთავსებულია ინტერნეტსივრცეში და იგი ამჟამადაც ხელმისაწვდომია.

თავი III ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილება ბრალდებულის უფლებებთან მიმართებით

3.1 ბრალდებულის საპროცესო უფლებების დარღვევის ფაქტები საქართველოში

სისხლის სამართლის საქმეებში მედიასაშუალებების გადამეტებული ჩართულობის შედეგად, ზემოთ განხილული უფლებები არაერთხელ დაირღვა ბრალდებულებთან მიმართებით. ზოგიერთ შემთხვევაში ბრალდებულებს შეუქცევადი ზიანიც კი მიადგათ. ჩვენს პრაქტიკაში არაერთი მსგავსი შემთხვევაა დაფიქსირებული. პრაქტიკული ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე განვიხილოთ რამოდენიმე მათგანი.

მედიასაშუალებების მიერ ყველაზე ხშირად ხდება უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა. მაგალითისთვის: 2019 წლის 24 თებერვალს ორი ტელეკომპანიის კვირის გადაცემებში, ერთი-ერთი მთავარი თემა, გასული წლის ივლისში, ხადას ხეობაში სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულის მალხაზ კობაურის საქმეს ეხებოდა. ორივე არხმა კვირის შემაჯამებელი ანალიტიკური გადაცემა აღნიშნული თემით დაიწყო. ერთ-ერთმა არხმა ამბავი “მკვლელობის აღიარებად” დაასათაურა, მეორემ კი მასალას ასეთი სახელწოდება შეურჩია - “მალხაზ კობაურის აღიარებითი ჩვენება და საგამომიებო ექსპერტიზის ამსახველი ფოტომასალა”.

ასევე, ქართული მედიასაშუალებები აქტიურად აშუქებდნენ თბილისში 4 წლის გოგოს გარდაცვალების ფაქტს. შემთხვევა 2019 წლის 22 იანვარს მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავებს დედისათვის შვილის მკვლელობაში ბრალი არ წაუყენებიათ, ხოლო სასამართლოს 24 იანვრამდე აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე არ უმსჯელია, ქართული მედიასაშუალებების ნაწილი, ძირითადად ონლაინ გამოცემები, არ დაელოდნენ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებას და ბავშვის მკვლელობაში დედა დაადანაშაულეს. მედიასაშუალებების სრულმა უმეტესობამ ამბის გახმაურებიდან მალევე მოახდინა ოჯახის სრული იდენტიფიცირება. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა ორგანოებმა ოჯახის წევრების მხოლოდ ინიციალები გაავრცელეს, როგორც ტელე ისე ონლაინ მედიასაშუალებებმა

გავრცელეს დედისა და გარდაცვლილის ვინაობები. მოგვიანებით გასაჯაროვდა გარდაცვლილი გოგოს ფოტოსურათიც, რომელზეც მას ფიზიკური დაზიანებები აღნიშნება. არაერთმა ონლაინ გამოცემამ მხოლოდ და მხოლოდ მეზობლებზე დაყრდნობით, გავრცელა ინფორმაცია, რომ „თბილისში დედამ 4 წლის შვილი, სავარაუდოდ, ცემით მოკლა“, ზოგიერთმა ვებგვერდმა კი აღნიშნული ინფორმაცია მტკიცებით ფორმაში გავრცელა და აღნიშნა, რომ „4 წლის გოგონა დედამ ცემით მოკლა“. მედიასაშუალებების ნაწილმა კი გავრცელა ინფორმაცია, რომ გოგოს გარდაცვალების მიზეზი დედინაცვლის მიერ მისი ცემა გახდა. სხვა მედიასაშუალებების მიხედვით კი გოგოს არა დედინაცვალი, არამედ მამინაცვალი ჰყავდა.

გარდა ამისა, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვა დეკანოზ გიორგი მამალაძის, მაგდა პაპიძის, მარიამ შალამბერიძის, ანა მურადელის და სხვა ბრალდებულების მიმართ.

რაც შეეხება არასრულწლოვანი პირის იდენტიფიცირების საკითხს, 2019 წლის 26 ივნისს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სვანეთში 12 წლის მოზარდმა ცეცხლსასროლი იარაღით მამა, შემთხვევით, სასიკვდილოდ დაჭრა. გამოცემების ნაწილმა, ამბის გაშუქებისას დაასახელა გარდაცვლილის სახელი და გვარი, ასაკი, ფოტო და სხვა დეტალები, რითაც არასრულწლოვნის ირიბი იდენტიფიცირება მოხდა.

ასევე, 2019 წლის 22 მაისს მედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ კასპის რაიონში 16 წლის არასრულწლოვანი დედა 7 თვის შვილის გაგუდვის გამო დააკავეს. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ჯერ მხოლოდ გამოძიების ეტაპზეა, სხვადასხვა ონლაინ გამოცემების გვერდებზე და სოციალურ ქსელში გავრცელდა არასრულწლოვნის ფოტოები, დაუდასტურებელი ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის მოტივზე და პირადი ცხოვრების დეტალები, რომელიც კავშირში არ არის მომხდართან. აღნიშნულით მოხდა ბრალდებულის ერთდროულად რამდენიმე უფლების დარღვევა: უდანაშაულობის პრეზუმფციის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, არასრულწლოვნის ანონიმურობის დაცვის და სხვ.

მაგდა პაპიძისა და მალხაზ კობაურის შემთხვევაში კი- მედიასაშუალებების აქტიური ჩართულობისა და აღნიშნული საქმის ირგვლივ არაერთი დაუზუსტებელი ინფორმაციის, სიუჟეტების გაშუქებამ გამოიწვია ის, რომ ქვეყანაში არ დარჩენილა ადამიანი, ვისაც წინასწარი აზრი არ ჩამოუყალიბდა მათი დანაშაულობის ან უდანაშაულობის კუთხით. აღნიშნულით კი, პრაქტიკულად, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ისეთი ნაფიცი მსაჯულების

შეკრება, რომლებსაც საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევამდე არ ექნებოდათ უკვე ჩამოყალიბებული წინასწარი შეხედულება, რაც თავისთავად აისახებოდა კიდევ ვერდიქტზე.

გარდა ჩამოთვლილისა, მედიასაშუალებების მიერ ზიანის მომტანი გაშუქების არაერთი ფაქტი არსებობს საქართველოში, რაც ართულებს ბრალდებულის უფლებების ეფექტურ დაცვას და ქმნის მათი უფლებების დარღვევის საფუძველს.

3.2 ბრალდებულის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები საზღვარგარეთ

თავის მხრივ, საინტერესოა სამართლებრივად განვითარებულ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა განსახილველი საკითხის ფარგლებში. ამ მხრივ, საკმაოდ ბევრი სამწუხარო მაგალითი აქვს აშშ-ს, გაერთიანებულ სამეფოს და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ აღნიშნული საკითხი პრობემურია არამხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ იგი წარმოადგენს საერთაშორისო პრობლემასა და გამოწვევას ბრალდებულის დაცვის კუთხით მომუშავე, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლისა თუ სასამართლოს შემადგენლობაში მომუშავე პრაქტიკოსი იურისტებისათვის, რადგანაც ზოგადად სახელმწიფოს და ყოველი ადამიანის ვალია დაიცვას და არ დაარღვიოს პირის, ამ შემთხვევაში კი ბრალდებულის საერთაშორისოდ აღიარებული და გარანტირებული უფლებები.

უდანაშაულობის პრეზუმფცია საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელსა და პროკურორებს არ უკრძალავს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოების ინფორმირებას, მაგრამ იგი მოითხოვს, რომ აღნიშნული გაკეთდეს დიდი სიფრთხილითა და ზომიერებით.¹³² დანაშაულის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისას პოლიცია, საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები ვალდებული არიან ერთი მხრივ, დააკმაყოფილონ საჯარო ინტერესი, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფონ ბრალდებულის უფლებების დაცვა. სწორედ ამიტომ, საჯარო პირებმა უნდა

¹³² Esser, Robert, *Europäisches und Internationales Strafrecht*, 2. Auflage, C.H.Beck, S. 228, Rn. 276; ECHR, *Fatullayev v. Azerbaijan*, 22/04/2010 § 159; *Allenet de Ribemont v. France*, 10/02/1995, § 38; *Garycki v. Poland*, 06/02/2007, § 69.

შეარჩიონ ისეთი სიტყვები, რომ არ მოხდეს მათი მცდარი ინტერპრეტირება¹³³ და საზოგადოებას არ დაუტოვოს განცდა პირის დამნაშავეობის შესახებ. ¹³⁴ შესაბამისად, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ კომენტარის გაკეთებისას, ისინი უნდა იყვნენ თავშეკავებულნი და მიუთითონ, რომ მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდს. ¹³⁵ ამ მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის დადგენისათვის მნიშვნელოვანია გაკეთდეს განსხვავება განცხადებებს შორის, სადაც პირი წარმოდგენილია როგორც სავარაუდო დამნაშავე და იმ განცხადებებს შორის, რომლებშიც პირი დახასიათებულია პირდაპირ დამნაშავედ (Clear declaration).¹³⁶ უდანაშაულობის პრეზუმფცია დარღვეულად ჩაითვლება, თუ გაკეთებულია დამნაშავეობაზე პირდაპირი განცხადება. ამასთან, დარღვევის დადგენისათვის საკმარისია იმ ფაქტის არსებობა, რომ თანამდებობის პირი ბრალდებულს დამნაშავედ მიიჩნევს.¹³⁷ შესაბამისად, იმის დადგენა, დაირღვა თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფცია დამოკიდებულია წარმოთქმულ ფრაზეოლოგიასა და იმ გარემოებებზე, რომლის პირობებშიც გაკეთდა განცხადება. ¹³⁸ ასეთია სტანდარტი, რომელსაც მიყვება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი. მათ არა აქვთ დარღვევის დადგენასთან დაკავშირებით ერთიანი დადგენილი კრიტერიუმი, არამედ ყოველ კონკრეტულ საქმეში აფასებენ ფაქტობრივ გარემოებებს და ამგვარად ადგენენ, ადგილი ჰქონდა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ან პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას.¹³⁹

¹³³ Klenk, Florian, Pressefreiheit und Unschuldsvermutung, Dissertation an der Universität Wien, 2010, S. 85 (იხ.: <http://docplayer.org/8939305-Pressfreiheitunschuldsvermutung-und-rechtsprobleme-der-kriminalberichterstattungdissertation.html>) (14.07.2019)

¹³⁴ Beck'scher Online-Kommentar stop mir RiStBV und MiStra, Graf, EMRK Art.6 Recht auf ein faires Verfahren, 27. Edition, 2017, Rn. 32

¹³⁵ Esser, Robert, Europäisches und Internationales Strafrecht, 2. Auflage, C.H.Beck, S. 228, Rn. 276.

¹³⁶ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015, გვ. 51.

¹³⁷ ECHR, Daktaras v. Lithuania, 10/10/2000, § 41; Fatullayev v. Azerbaijan, 22/04/2010, §13, 2010; Borovsky v. Slovakia, 02/06/2009, § 46.

¹³⁸ Beck-Online: Grabenwarter/Pabel, Europäische Menschenrechtskonvention, §24. Verfahrens- und Justizgarantien, 6. Auflage 2016, Rn.142.

¹³⁹ ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018. გვ.166

ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც შეჯიბრებითი სისტემის ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის პროცესის მხარეების თანასწორობას. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რომ პროკურატურის საჯარო განცხადებით არ მოხდეს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. აშშ-ში პროკურორს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში შეუძლია საჯარო განცხადების გაკეთება.¹⁴⁰ დაუშვებელია პროკურორმა გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც დიდი ალბათობით არსებით ზიანს მოუტანს სისხლის სამართლის პროცესს.¹⁴¹ პროკურორი ვალდებულია თავი შეიკავოს ისეთი საჯარო განცხადების გაკეთებისაგან, რომელსაც არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და მხოლოდ საზოგადოებაში ბრალდებულის დამნაშავედ წარმოჩენას ემსახურება.¹⁴² აქედან გამომდინარე, აშშ-ში განსაზღვრულია, თუ რის შესახებ შეუძლია ან არ შეუძლია პროკურორს საჯარო განცხადების გაკეთება. საჯარო სახელმწიფო ორგანოებში ბრალდებულის შესახებ არსებული ინფორმაცია, რომელთა გავრცელებაც ემსახურება საჯარო ინტერესს^{143,144}

¹⁴⁰ Gershman, Bennett L., The Prosecutor's Duty of Silence, Pace University, DigitalCommons@Pace, Pace Law Faculty Publications School of Law, 2016, p. 1203 (იხ.: <https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2014&context=lawfaculty>) (14.07.2019); ABA, Mode Rules of Professional Conduct, Rule 3.6 (a), Rule 3.8 (f) (იხ.: https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_table_of_contents.html) (14.07.2019); 28C.F.R § 50.2 (b) (იხ.: <https://www.law.cornell.edu/cfr/text/28/50.2>) (14.07.2019).

¹⁴¹ ABA, Mode Rules of Professional Conduct, Rule 3.6 (a) (იხ.: https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_table_of_contents.html) (14.07.2019); ABA, Criminal Justice Standards for the Prosecution Function, 4th edition, Standard 3-1.10(c) (იხ.: https://www.americanbar.org/groups/criminal_justice/standards/ProsecutionFunctionFourthEdition-TableofContents.html) (14.07.2019).

¹⁴² ABA, Mode Rules of Professional Conduct, Rule 3.8 (f) (იხ.: https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_table_of_contents.html) (14.07.2019); National District Attorneys Association, National Prosecution Standards, 3rd edition, 2-14.2 (იხ.: <https://ndaa.org/wpcontent/uploads/NDAANPS-3rd-Ed.-w-Revised-Commentary.pdf>) (14.07.2019).

¹⁴³ National District Attorneys Association, National Prosecution Standards, 3rd edition, 2-14.3 (იხ.: <https://ndaa.org/wp-content/uploads/NDAANPS-3rd-Ed.-w-Revised-Commentary.pdf>) (14.07.2019); Gershman, BennettL., The Prosecutor's Duty of Silence, Pace University, DigitalCommons@Pace, Pace Law Faculty Publications School of Law, 2016, p. 1203 (იხ.: <https://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2014&context=lawfaculty>) (14.07.2019).

რაც შეეხება მდგომარეობას, როდესაც საფრთხის ქვეშ დგება საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და ნაფიც მსაჯულთა მიერ სამართლიანი ვერდიქტის გამოტანა, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს შეხედულება შემდეგნაირია, თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე შეპარდი მაქსველის წინააღმდეგ სასამართლომ მიუთითა გარკვეულ მექანიზმებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მედიის ზეგავლენისაგან სასამართლო პროცესის დასაცავად. ასეთ მექანიზმებად სასამართლომ ჩათვალა: 1) საქმის განხილვის გადატანა სხვა ადგილას; 2) საქმის განხილვის შეჩერება; 3) ბრალდებისა და დაცვის მხარეებისათვის საქმის დეტალების გახმაურების აკრძალვა – ე.წ. No Comment-ის წესი; 4) პოტენციური მსაჯულის წინასწარი დაკითხვა მოსამართლის ან მხარის მიერ იმის გამოსავლენად, არის თუ არა ის კვალიფიციური ან მისაღები ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრულებლად 5) მოსამართლის მითითებები ნაფიცი მსაჯულებისადმი; 6) ნაფიც მსაჯულთა ჩაკეტვა, რაც გულისხმობს პროცესის მსვლელობის განმავლობაში ნაფიც მსაჯულთა იზოლაციას საზოგადოებისაგან. სასამართლოს შენობის გარეთ ეს ხდება სასტუმროში, სადაც მათ ამარაგებენ საკვებით. აღნიშნულ პროცედურებს იყენებენ საერთო სამართლის სხვა ქვეყნებიც, თუმცა ყველგან – არა. მაგალითისათვის საქმის განხილვის სხვაგან გადატანა ეფექტურია იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდ ტერიტორიებს ფლობენ. მედიის ზემოქმედების გასაწინააღმდეგოდ ასევე გამოიყენება მოსამართლისათვის საქმის გადაცემა ერთპიროვნული განხილვისათვის. ასეთი მექანიზმი გამოიყენება კანადაში, თუ ბრალდებისა და დაცვის მხარეები შეთანხმდებიან ამაზე. თუმცა, აღნიშნული მექანიზმი ვერ იმოქმედებს ისეთ სახელმწიფოში, სადაც კანონი ამა თუ იმ ქმედებაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სავალდებულო განსჯადობას ითვალისწინებს – ასეთია ავსტრალია და ახალი ზელანდია.¹⁴⁵

მედიაზე ზემოქმედების მექანიზმებიც ასევე განისაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ამ მხრივ აღსანიშნავია 1976 წელს განხილული საქმე – ნებრასკას პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ერვინ ჩარლზ სიმატსის მიერ ჰენრი კელისა და მისი ოჯახის ექვსი წევრის, მათ შორის – ბავშვების, მკვლელობას. იმისათვის, რომ სასამართლოზე არ გავრცელებულიყო პრესის მავნე ზეგავლენა, მოსამართლემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც აკრძალა ბრალდებულის მიერ

¹⁴⁴ ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018. გვ.166

¹⁴⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თბილისი, 2012, გვ.101

პოლიციისათვის მიცემული ან სხვაგვარად გაკეთებული განცხადებების გამოქვეყნება, ასევე – იმ მტკიცებულებათა გაშუქება, რომლებიც წარდგენილი იყო საქმის წინასწარი მოსმენისას. აღნიშნული ბრძანება გააუქმა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ და მიუთითა, რომ „საქმის წინასწარი, თუნდაც ნეგატიური გაშუქება აუცილებლად არ იწვევს პროცესის უსამართლობას.“ სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის გამოქვეყნების აკრძალვა უნდა გამოიყენებოდეს ყველაზე უკიდურეს საშუალებად – მას შემდეგ, რაც ამოიწურება სხვა, ტრადიციული მექანიზმები. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მედიას შეეძლო თავისუფლად გაეშუქებინა ყველაფერი, რაც მოხდა სასამართლოს ღია სხდომაზე.¹⁴⁶

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, ინგლისში 1981 წელს გამოცემული კანონის თანახმად, რომელიც სასამართლოს უპატივცემულობას ეხება, მედიას შესაძლოა, აკრძალოს და მის წინააღმდეგ აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ იგი გამოაქვეყნებს საქმის განხილვაზე ზეგავლენის მომხდენ მასალებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუამდგომლობის შემტანმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ მასალების გამოქვეყნებით შეიქმნა უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის არსებითი საფრთხე. შოტლანდიაში ამ კანონის მოქმედება კიდევ უფრო მკაცრია, ვინაიდან სასამართლოები არსებით საფრთხეს მიიჩნევენ, როგორც მინიმალურზე მეტ საფრთხეს. ამის გამო პრესა მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენს ნაფიც მსაჯულთა პროცესის გაშუქებისას. პროცესის სამართლიანობიდან გამომდინარე, მედიაზე აკრძალვების დაწესების მექანიზმებს ასევე იყენებენ ავსტრალია, ახალი ზელანდია და ირლანდია.¹⁴⁷

3.3 რეკომენდაციები

სისხლის სამართლის საქმეების ირგვლივ ინფორმაციის სწორი გაშუქება, რა თქმა უნდა, საჭიროებს პირველ რიგში, ჟურნალისტის მაღალკვალიფიციურობას და ამავედროულად, სამართლებრივი ტერმინოლოგიის ცოდნას. ავტორებმა, რომლებიც აშუქებენ სისხლის სამართლის საქმის შესახებ ამბებს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ თუ მათი კომპეტენცია და პროფესიული განათლება შესაბამისი არ არის, მოერიდონ ფაქტების დაზუსტებით აღწერასა და

¹⁴⁶ იქვე. გვ.102-103

¹⁴⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თბილისი, 2012, გვ.102

შემდგომ მის ტირაჟირებას. აუცილებელია, სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ჟურნალისტებს უფრო მეტი ტრენინგი ჩაუტარდეთ სამართლებრივი საკითხების გაშუქების თემაზე. საინტერესო იქნება ქართველი ჟურნალისტებისათვის ევროპული გამოცდილების შესწავლა და მიწოდება. თუმცა ხშირ შემთხვევაში, არამხოლოდ ჟურნალისტები, არამედ რესპოდენტები, სამართალდამცავები არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმფციას და დაკავებულს დამნაშავედ, კრიმინალად ან ბოროტმოქმედად მოიხსენიებენ. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტი მაქსიმალურად უნდა მოერიდოს ასეთი განცხადებების გავრცელებას და ყოველი ახალი ბრალდების წინ უნდა დააკონკრეტოს, რომ ინფორმაცია სამართალდამცავის მონათხრობს ეყრდნობა.

გარდა ამისა, როდესაც დანაშაულის შესახებ ცნობილი გახდება სამართალდამცავებისთვის და დანაშაულს აქვს გახმაურების პოტენციალი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელია სამართალდამცავებმა პირველ ეტაპზევე, მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი პროფესიონალიზმი და თავიანთი განცხადებებით არ შექმნან ბრალდებულის უფლებების დარღვევის საფუძველი. იგივე შეიძლება ითქვას საგამომიებო ორგანოსა და პროკურატურის თანამშრომლებზე. მათ მაქსიმალურად უნდა შეიკავონ თავი ისეთი საჯარო განცხადებებისაგან, რომელიც შემდგომში შეიძლება საზოგადოების მხრიდან განსხვავებულად იყოს აღქმული. „აუცილებელია, რომ პროკურატურამ გაითვალისწინოს საერთაშორისო დონეზე მოქმედი სტანდარტები და თავისი საქმიანობა მათ შესაბამისად წარმართოს. აუცილებელია, რომ პროკურატურამ პრესრელიზებში შეცვალოს ტერმინოლოგია და სიტყვების – „დადგენილია, დადასტურებულია, ანალიზი ცხადყოფს და სხვა“ გამოიყენოს – „საბრალდებო დასკვნის შესაბამისად“ ან მსგავსი ტერმინოლოგია, რომელიც წარმოდგენილ ინფორმაციას არ წარმოაჩენს დამტკიცებულ და უტყუარ ინფორმაციად. ამასთან აუცილებელია, რომ პრესრელიზებსა და ნებისმიერ სხვა საჯარო განცხადებაში გაკეთდეს მითითება უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, რათა საზოგადოებაში არ მოხდეს ბრალდებულის სტიგმატიზაცია. ამასთან აუცილებელია, პროკურატურის ეთიკის კოდექსის ის დებულებები, რომლებიც არეგულირებს პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობას, მოვიდეს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში. ასევე, მიუღებელია პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გასაჯაროების პრაქტიკა. შეჯიბრებითობის სისტემა არ ამართლებს ნებისმიერი ინფორმაციის გასაჯაროებას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ შემუშავდეს სამართლებრივი რეგულაციები

და დადგინდეს, თუ რა სახის ინფორმაცია შეიძლება ან არ შეიძლება გასაჯაროვდეს პროკურატურის მიერ.¹⁴⁸

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველი საქმეების კუთხით კი შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ, საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება, ნაფიც მსაჯულთა საქმის შესახებ ინფორმაციისგან განრიდების კუთხით. მართალია, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სიმცირიდან გამომდინარე, აღნიშნულს შესაძლოა ანალოგიური ეფექტი არ ჰქონდეს, თუმცა გარკვეულწილად დაიცავს ნაფიც მსაჯულებს ყოველდღიური, უწყვეტი ინფორმაციის მიღებისგან განსახილველი სისხლის სამართლის საქმის ირგვლივ.

ასევე, გამომდინარე, ბრალდებულის უფლების გახშირებული დარღვევებიდან, სასარგებლო და აუცილებელია საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას შეემატოს კიდევ ერთი სამართლებრივი აქტი, რომელიც დაარეგულირებს კონკრეტულად ამ საკითხს ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში, როგორც ეს ზემოთ ჩამოთვლილ მრავალ ქვეყანაში არსებობს.

¹⁴⁸ ხ. თანდილაშვილი, პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018. გვ.174-175

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ საქვეყნო პროცესისა და მესმედიის ზეგავლენა ბრალდებულის უფლებებზე. ბრალდებულის უფლებები, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტი, ღრმად და საფუძვლიანადაა დამუშავებული ქართული სისხლის სამართლის პროცესის დოქტრინაში, თუმცა, კონკრეტულად ამ თემის ირგვლივ ნაშრომში, რომელიც აერთიანებს საქვეყნო პროცესისა და მასმედიის ზეგავლენას ბრალდებულის საპროცესო გარანტიებზე, რთულად მოსაძებნია, ამიტომ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად საფუძვლიანად გამოგვეკვლია საკითხი.

სისხლის სამართლის პროცესში ძალზედ პრობლემატურია ბრალდებულის უფლებების დაცვა საქვეყნო პროცესის ფარგლებში, მით უფრო, როდესაც საქმე გახმაურებულ დანაშაულს ეხება. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოების ინტერესი მაღალია სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რაც მედიის გააქტიურებასაც იწვევს და შედეგად ბრალდებულის არაერთი უფლება დგება დარღვევის საფრთხის ქვეშ. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის მედიის ისეთი გაშუქებისგან, რომელიც მას ზიანს აყენებს. ზიანის მიყენებაში იგულისხმება არამხოლოდ მომენტალურად დამდგარი ზიანი, არამედ ის ზიანიც, რომელიც ბრალდებულს მომავალშიც შეიძლება მიადგეს, და რომლის გამომწვევი მიზეზიც სწორედ, რომ მედიასაშუალებების მიერ საქმის ხარვეზიანი გაშუქება იყო. სწორედ ამიტომ, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩართული ყოველი პირი ვალდებულია სიფრთხილით მოეკიდოს პროცესის ყველაზე სენსიტიურ მხარეს, ბრალდებულს, რადგანაც სწორედ მისი ბედი წყდება პროცესის შედეგად. ამ მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება კი იმ უფლებათა დაცვაა, რომელიც ბრალდებულს გარანტირებული და აღიარებული აქვს არაერთი საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტით.

ნაშრომში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ბრალდებულის საპროცესო გარანტიების რეალიზებაზე საქვეყნო პროცესის ფარგლებში და სხვა დანარჩენი განხილულია მასთან კავშირში.

გამოყენებული ლოგიკური, დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი, სისტემურ-სტრუქტურული, ჰიპოთეზის წამოყენების, დამუშავებისა და შემოწმების მეთოდების საფუძველზე, კვლევის საგანი განხილულ იქნა, როგორც პრაქტიკული, ისე შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით.

შეძლებისდაგვარად საფუძვლიანად იქნა გამოკვლეული ბრალდებულის დასახელებული უფლებები, როგორც შიდასახელმწიფოებრივი ასევე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. განხილულ იქნა პროცესის საჯაროობის და მედიის ჩართულობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და არგუმენტები, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება პრობლემასთან ბრძოლის კუთხით. სასამართლოს მიდგომა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით და მათ მიერ შემუშავებული მექანიზმები ბრალდებულის ყოველმხრივ აღიარებულ უფლებათა დასაცავად. ნაშრომში გამოკვლეულ იქნა ბრალდებულის უფლებები, მისი არსი და მნიშვნელობა, სამართლებრივი პრობლემები როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების, ისე საქართველოს კანონმდებლობის, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისითაც. ნაშრომში შეთავაზებულია დასკვნები და რეკომენდაციები პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

კვლევის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბრალდებულის არაერთი საპროცესო უფლება დგას საფრთხის ქვეშ საქვეყნო პროცესისა და მასმედიის გადამეტებული ჩართულობის ფონზე. აღნიშნულის არაერთი მაგალითი არსებობს სასამართლო პრაქტიკაში, როგორც საქართველოში, ასევე სხვა სამართლებრივად განვითარებულ ქვეყნებში. ხოლო სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი მიმართულების - სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნის მისაღწევად, აუცილებელია დაცულ იქნეს ის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები და გარანტიები, რაც სისხლის სამართლის პროცესისათვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნული კი მიღწევადია მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივი ძალებითა და მაღალი სამართალშეგნებით. როგორც, სახელმწიფო თავისი ინსტრუმენტებით, ასევე საზოგადოება ვალდებულია ჩაერთოს სამართლებრივი განვითარებისაკენ სვლაში. საგამოძიებო ორგანოს, პროკურატურის თანამშრომლები, ჟურნალისტები და თავად საზოგადოების ყოველი წევრი უნდა იბრძოდეს კანონით აღიარებული უფლებების დასაცავად, და ყველა ღონეს ხმარობდეს წამოჭრილი პრობლემების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისთვის.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015
2. გაბისონია თ., გიომვილი მ., დარსანია ე. და სხვ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თქვენი ფუნდამენტური უფლებები/The European Court of Human Rights and Your Fundamental Rights, თბილისი, 2005
3. ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6 მუხლთან დაკავშირებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (სისხლისსამართლებრივი ასპექტები), 2014
4. თანდილაშვილი ხ., პროკურატურის საჯარო განცხადება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N4, თბილისი, 2018
5. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი, 2014
6. მანჯავიძე ი., ლაბაური ლ., კვაჭაძე მ., ადამიანის უფლებათა დაცვა ჯანდაცვის სფეროში და სიტყვის თავისუფლება, თბილისი, 2006
7. ნიკოლი ე., მილარი გ., შარლანდი ე., ადამიანის უფლებები- გამოხატვის თავისუფლება, თბილისი 2002
8. რუხაძე ზ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი 1999
9. საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, კვლევა და რეკომენდაციები, თბილისი, 2015
10. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თბილისი, 2012
11. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო, კრიმინალის გამუქება-სახელმძღვანელო წესები, თბილისი, 2015
12. სმიტი რ.კ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები (მეორე გამოცემა), თბილისი 2006
13. ტობი მ., გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი, 2004
14. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016
15. OSCE/ODIHR , სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, თბილისი, 2014

16.

ინგლისურენოვანი ლიტერატურა

1. Gershman, Bennett L., The Prosecutor's Duty of Silence, Pace University, DigitalCommons@Pace, Pace Law Faculty Publications School of Law, 2016
2. Matheson, Scott, Jr. M., The Prosecutor, The Press, and Free Speech, Fordham Law Review, Volume 58 Issue 5 Article 1, 1990

ნორმატიული მასალა

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია
3. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ
4. საქართველოს კონსტიტუცია
5. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“
6. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“
7. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“
1. საქართველოს კანონი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №ას-1278-1298-2011, თბილისი, 2012 წლის 20 თებერვალი;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება №1198 აპ-08 , 2009 წლის 9 მარტი;
3. ECHR, McKerr v. the United Kingdom, 04/05/2001;
4. ECHR, Riepan v. Austria, 14/11/2000;
5. ECHR, Olujic v. Croatia, 05/05/2009;
6. ECHR, Sunday Times v. United Kingdom, 26/04/1979;
7. ECHR, Lingens v. Austria, 08/07/1986;
8. ECHR, De haes and Gijssels v. Belgium, 24/02/1997;
9. ECHR, Dalban v. Romania, 29/09/1999;
10. ECHR: Allenet de Ribemont v. France, 10/02/1995;

11. ECHR, Khuzhin and Others v. Russia, 23/10/2008;
12. ECHR, Kouzmin v. Russia, 18/03/2010;
13. ECHR, Brandstetter v. Austria, 28/08/1991;
14. ECHR, Laukkanen and Manninen v. Finland, 03/02/2004;
15. ECHR, Kamasinski v. Austria, 19/12/1989;
16. ECHR, Bulut v. Austria, 22/02/1996;
17. ECHR, Bobek v. Poland, 17/07/2007;
18. ECHR, Mikhail Marinich v Belarus, 30/07/2010;
19. ECHR, Klimentyev v. Russia, 16/11/2006;
20. ECHR, Borgers v. Belgium, 30/10/1991;
21. ECHR, Sanic v. Denmark, 02/02/1999;
22. ECHR, Felix Kulov v Kyrgystan, 30/07/2010;
23. ECHR, Fatullayev v. Azerbaijan, 22/04/2010;
24. ECHR, Daktaras v. Lithuania, 10/10/2000;
25. ECHR, Gridin v Russian Federation, 01/06/2006;
26. ECHR, Butkevicius v. Lithuania, 26/03/2002;
27. ECHR, Ismoilov and others v. Russia, 24/04/2008;
28. ECHR, Hummatov v. Azerbaijan, 29/11/2007;
29. ECHR, Daktaras v. Lithuania, 10/10/2000;
30. ECHR, Foucher v. France, 18/03/1997;
31. ECHR, Garycki v. Poland, 06/02/2007;
32. ECHR, Fatullayev v. Azerbaijan, 22/04/2010;
33. ECHR, Borovsky v. Slovakia, 02/06/2009;
34. ECHR, T v United Kingdom, 7 BHRC 659, 2000

ინტერნეტ ბმულები

1. http://pog.gov.ge/geo/news?info_id=geo/news?info_id=1695 ;
2. http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1137 ;
3. http://pog.gov.ge/geo/news?info_id=871 ;
4. <https://www.osce.org/odihr/94214?download=true>
5. <https://lovdata.no/static/UNHR/ccpr-1997-0770.pdf>
6. <https://www.youtube.com/watch?v=n8Gpx0U0hKA>